MES 4 21 0000053927

02/02/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02.02.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:14 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:16 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
15. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულებისდასახ ელება	სტატუსი	საკითხი
1.	ერმილე მესხია		განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I

1.	სოფიო თავაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
1.	ნინო მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
1.	ქეთევან ვაჩეიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I
1.	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	II, III
1.	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
1.	სერგო ჭელიძე		სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
1.	ლევან მოსახლიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	დავით ხოშტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	დავით ბურჯანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
5	ნონა ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:14 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 5 დეკემბერი, გადაწყვეტილება #191
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ვაჟა-ფშაველას ქ. №32
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა კრედიტაციის ექსპრტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ექსპერტების პოზიციის განხილვა.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, წარმატებები უსურვა მათ და შეუდგა გაცემული რეკომენდაციების განხილვას. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციების დიდი რაოდენობის მიუხედავად, მან იგრძნო უნივერსიტეტის მხრიდან მზაობა და განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა. მან წარმოადგინა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

- გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევაში ჩართულ სუბიექტთა ბაზა არა მარტო კულტურის სფეროში მოქმედი სუბიექტებით, არამედ სხვა ბიზნეს-სუბიექტებითაც, რადგან მათი მოთხოვნების გათვალისწინება უფრო მეტად დააახლოვებს პროგრამის მიზანსა და შედეგებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროგრამის დასრულების შემდგომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფაქტორის გათვალისწინებით.
- განისაზღვროს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდე.
- მიზანშეწონილია,პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში სრულყოფილად აისახოს ყველა შედეგი, რომლითაც სასწავლო კურსების (დროის მენეჯმენტი, სტატისტიკა, რისკების მართვა, რეკლამის ხელოვნების საფუძვლები) გავლის შედეგად იღებს სტუდენტი, რაც აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსებს ოპერაციული მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი შეეცვალოთ სტატუსი და სპეციალობის არჩევითიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო საგნების კატეგორიაში.
- მიზანშეწონილია, სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილი იყოს საგანი ,,ფინანსები სსაფუძვლები“.
- სასწავლო კურსებს: ლოგისტიკა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, სტატისტიკა, ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, მარკეტინგი კულტურაში, კულტურის ტურიზმის მენეჯმენტი, რისკების მართვა,კინოხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი, მედია მენეჯმენტი, სამეწარმეო გარემოს რეგულირება განესაზღვროს წინაპირობები.
- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს სპეციალობის სავალდებულო საგნებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და ამასთან, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს სტრუქტურაში მიეთითოს შესაბამისი სემესტრი.
- გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომი/ პროექტის წინაპირობა ისე, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა 8 სემესტრში დაასრულოს პროგრამა.
- პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსში ჩართულ იქნას,,Microsoft Project” პროგრამის სწავლების კომპონენტი.
- გადამუშავდეს სასწავლო კურსების:ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა,კულტურის დაფინანსება, მცირე ბიზნესის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი-მესამე შედეგის(პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ფორმულირება და შეფასების მეთოდები.
- შესწავლილ იქნეს სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების საკითხი თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და რაციონალურად მოხდეს კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.
- განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსებში: კინოხელოვნების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგი, მედიამენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, მცირე ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, კულტურის ტურიზმის საფუძვლები, ბიზნეს -გეგმების შედგენა და მართვა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.
- განახლდეს ინგლისური ენა B2-ის სილაბუსი.
- მიზანშეწონილია უცხო ენის ჯგუფების ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება პროცესის რეგულირების მიზნით.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში ძირითად და დამატებით ლიტერატურას მიეთითოს გვერდების რაოდენობა.
- რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებთან შემუშავდეს სტანდარტთან შესაბამისი შეთანხმების მომზადება, რომელშიც დეტალურად და მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი იმ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღებაც შეძლებს დაწესებულება ერთი სემენსტრის განმავლობაში, ასევე განისაზღვრება პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა.
- რეკომენდირებულია, სილაბუსების ავტორებთან აქტიურად გაგრძელდეს სწავლება-სწავლის მეთოდების ანალიზი და გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსი და აღმოიფხვრას ყველა ხარვეზი.
- რეკომენდირებულია, კარიერული განვითარების ცენტრმა სრულად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება და შემდგომში ჩართულობა კარიერული დაგეგმვის კუთხით და შემდგომში ხელი შეუწყოს სტუდენტის სფეროს შესაბამისად დასაქმებას.
- რეკომენდირებულია, უსდ-მ გააფართოვოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვაში.

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალის დამატება მენეჯმენტის ან ბიზნეს ადმინისტრაციის კვალიფიკაციით.
- რეკომენდებულია, რომ ბხსუ-მ სრულად აამოქმედოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების და უწყვეტი პროფესიული და აკადემიური განვითარების პოლიტიკა და მხარდამჭერი პროცედურები,რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბხუს-ს ვებ-გვერდზე.
- რეკომენდებულია,დროულად განახლდეს საბიბლიოთეკო ფონდი სასწავლო საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის შესაბამისად, რომელიც დაეფუძნებადარგის სიახლეების შემცველ თანამედროვე გამოცემებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება. დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოზე დამსწრე წევრებს და საუბარი განაგრძო გაცემული რეკომენდაციების გარშემო. მან აღნიშნა, რომ განხორციელდა ისეთი ხასიათის ცვლილებები, რაც დიდ დროს და ძალისხმევას არ მოითხოვდა. მაგალითად, არჩევითი კურსების ნაწილი გადმოტანილი უნდა ყოფილიყო სპეციალობის ძირითად ნაწილში. მოხდა ჩამოთვლილ სასწავლო დისციპლინებში წინაპირობების გათვალისწინება, კერძოდ, ინგლისური ენის სილაბუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, ხსენებული რეკომენდაციები დღეის მდგომარეობით გათვალისწინებულია. რაც შეეხება, რეკომენდაციათა გარკეულ ნაწილს, მათი შესრულება მოითხოვდა მეტ დროს. მაგალითად, სასწავლო ლიტერატურის განახლება, საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით არსებული რეკომენდაციები, პერსონალის მომზადებისა და გადამზადების სისტემა და ასე შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, პროგრამის ძირითადი კურსი მიმართული იყო კულტურის დაწესებულებებზე, რისი ცვლილებაც რეკომენდაციის მიხედვით მოხდა. დაწყებულია მუშაობა საკითხზე, რომ არა მარტო კულტურის ობიექტები, არამედ მენეჯმენტის სფეროს მომცველი ობიექტები იყოს, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლობის სფეროს, ასევე სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტი (ნაწილი). მან აღნიშნა, რომ პროგრამა მნიშვნელოვნად შეიცვალა 2018 წლის შემდეგ, გაიზარდა პრაქტიკის კრედიტების ოდენობა, მომზადდა უცხო ენათა არჩევით კურსები და სტუდენტებს მიეცათ საშუალება მეორე უცხო ენის არჩევისა. ინგლისურ ენაში ცოდნის გასაღრმავებლად შეიქმნა 20 კრედიტიანი სასწავლო კურსები. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, უნივერსიტეტი ჯერ კიდე 2018-2019 წლიდან ემზადებოდა, რომ ძირითადი ლიტერატურის ელექტრონული რესურსები ხელმისწვდომი ყოფილიყო სტუდენტებისათვის. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებას შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, არ გასჭირვებია სტუდენტებისათვის საჭირო ლიტერატურის ელექტრონული ფორმით მიწოდება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელექტროულ რესურსებს პროგრამის ხელმძღვანელები ამზადებდნენ. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი უკვე გათვალისწინებული იყო, ნაწილზე მუშაობა მიმდინარეობდა, ხოლო დარჩენილი ნაწილის გათვალისწინებაც აუცილებლად მოხდებოდა. კითხვების არსებობის შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენელმა მზაობა გამოთქვა პასუხების გასაცემად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა პროგრამასთან მიმართებით. საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით რამდენად იყო საკმარისი კრედიტები მენეჯმენტის ბაკალავრის სპეციალობისთვის და ასევე, ორ სავალდებულო საგანთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო არჩევით კრედიტებში ორი საათი დათმობოდა აღნიშნულ თემებს, რადგან მსგავს პრაქტიკულ თემებზე კრედიტების დახარჯვა მართებული არ იქნებოდა. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი პროგრამაში წარმოდგენილ ყველა სილაბუსს დეტალურად გაეცნო და დასკვნაშიც აღნიშნა, რომ ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსებიდან, რომელიც 147 კრედიტს მოიცავს, მხოლოდ 122 ემსახურება კვალიფიკაციაზე გასვლას. თუმცა იქვეა მითითება, რომ არჩევითი კურსები, აუცილებელია რომ გადმოტანილ იქნას ძირითად

ნაწილში; აღნიშნული არჩევითი კურსები უკვე ძირითად კურსებში გადმოვიდა. შესაძლებელია ითქვას, რომ ძირითადი შედეგის მიღება შესაძლებელია ამ პროგრამის ათვისების შემდგომ. კრედიტების ზუსტი რაოდენობისა და სიდიდის განსაზღვრის შემდეგ, რომლებიც ცალკეული სასწავლო კურსებისთვის იქნება საჭირო, პროგრამის სტრუქტურა დაიხვეწება. რაც შეეხება კვალიფიკაციის მინიჭებას, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, კვალიფიკაციაზე გასვლა შესაძლებელია. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ხსენებული ცვლილება ნამდვილად განხორციელდა. პროგრამის სტაბილურობა გარანტირებულია მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხის მინიჭების პროცესში. აქცენტები კეთდება პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რომ დასაქმების ბაზარზე სტუდენტებმა მალევე შეძლონ ადაპტაცია ახალ სამუშაო ადგილზე. აქედან გამომდინარე, ის საგნები, რომლებიც არის შეტანილი პროგრამაში შესაძლოა უადგილოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ზოგჯერ სტუდენტი მარტივ ოპერაციასაც ვერ ასრულებს, არა თუ საქმის წარმოების სხვა ნაწილს. კურსდამთავრებულს დოკუმენტების შედგენა, სარგებლობა, გამოყენება უნდა შეეძლოს. სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა აღნიშუნლი საგნების სწავლება. შესაძლოა რეკომენდაციის გათვალისწინება, რომ საგნები ძირითადიდან არჩევით ნაწილში გადავიდეს.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ შეკითხვის დასმის სურვილი გამოთქვა. მისი აზრით, საინტერესოა საგნის „სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“-ს სწავლება. სწავლის უნარებში ჩაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია კურატორებთან თანამშრომლობა, სამუზეუმო ექსპონატების მცირე გამოფენის დაგეგმვა და განხორციელება. თუმცა სასწავლო თემებში არსად არის აღნიშნულის შესახებ საუბარი და მხოლოდ ერთი საათი აქვს დათმობილი სამუზეუმო ექსპონატების მოკლედ გაცნობას. ნინო დობორჯგინიძე დაინტერესდა ამ უნარებს სად გამოიმუშავებდნენ სტუდენტები. მისი აზრით, სწავლების პერიოდში საჭიროა გამახვილდეს აქცენტი დამთვალიერებლებზე და მათზე ორიენტირებული პროგრამის შემუშავება და სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა ყურადსაღებია. მეორე საგანი არის შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, რომლის ლიტერატურისა და სალექციო თემატიკის მიხედვით ძირითადად სავალდებულო ლიტერატურა არის ფილოსოფიის შესავალი და რადგანაც თანამედროვე აზროვნება არ არის მხოლოდ ფილოსოფია, უმჯობესი იქნებოდა საგანის სახელის შეცვლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტება გააკეთა და საუბარი თავდაპირველად დაიწყო საგანზე „სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“. მან მიუთითა რომ სილაბუსის ავტორი თავადაა და საგანსაც თავად კითხულობს. შესაძლოა, უცხო ადამიანისათვის გამოკვეთილად არ ჩანდეს ის თემა, რაც სწავლის შედეგში იკითხება და მოგვეჩვენოს, რომ თანხვედრაში არაა, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენელმა დარწმუნებით აღნიშნა, რომ ხდება ზუსტად შესწავლა მუზეუმის მართვისა და ამოცანების საკითხებისა. იმ უნარების გამომუშავება, რაც სტუდენტებს დაეხმარებათ, როგორც პროგრამების მომზადებაში, ისე გამოფენის მომზადების გეგმაში. სწავლების ფარგლებში ხდება განხილვა, თუ როგორ უნდა მოამზადოს სტუდენტმა გამოფენა, ამ მხრივ სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოსაც ასრულებენ, რის საფუძველზეც იღებენ შეფასებას. „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ - აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი კომპეტენტური არ იყო, საბჭოს რეკომენდაციას იგი თავის კოლეგას გადასცემდა განსახილველად და გასათვალისწინებლად. საბჭოს წევრის მითითებით კულტუროლოგიის სილაბუსის მიზნებში იკითხებოდა, რომ თითოეული ქვეყნის ან ეპოქის შესწავლისას განხილული უნდა ყოფილიყო ქართული კულტურის ძირითადი მიღწევები, რითაც ქართულმა კულტურამ ძირითადად დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში. წარმოდგენილი თემატიკის მიხედვით, საბჭოს წევრს არ დარჩა შთაბეჭდილება, თუ როგორ მოხერხდება ამის სტუდენტებამდე მიტანა. მისი თქმით, ძირითადი თეორიული ნაწილი, რომელიც პირველ ორ ლექციაზეა გაშლილი, ვერ დაფარავს ისეთ საკითხებს, რომელიც უნდა ისწავლებოდეს კულტუროლოგიაში. მაგალითად, როგორებიცაა კულტურის გენეზისი, კულტურის გლობალიზაცია და ასე შემდეგ. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ ფიქრობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები სილაბუსების

გადახედვას, საკითხების სიღრმეების გათვალისწინებით. ასევე, 2018-2019-2020 წლებში გამოსული სახემძღვანელოების გათვალისწინებით ლიტერატურის გადახედვას ხომ არ ფიქრობდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული საგანი ახალი დამატებულია, ეს არის საფაკულტეტო არჩევითი კურსი. რეკომენდაციები და შენიშვნები ლიტერატურის ნაწილში დაწესებულების წარმომადგენლისათვის მისაღებია, თუკი სტუდენტები ამ საგანს აირჩევენ, ყველა თემის განხილვის დროს, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურასთან ერთად პარალელურად მოხდება ქართული კულტურის განხილვაც. საგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, ის სახელმძღვანელოები, რაც წიგნის ბაზარზე არ იყიდება და არაა ხელმისაწვდომი, სკანირდება, ქსეროქსდება და ხდება უნივერსიტეტში ჩატანა.

მენეჯმენტის კუთხით, სილაბუსების (მაგალითად, „რისკების მართვის სილაბუსი“) გაცნობის შემდგომ, საბჭოს წევრ გიორგი თურქიას გაუჩნდა კითხვა, თუ რა კუთხით ხდებოდა სწავლება, როგორ იყო მიმართულებები ინტეგრირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ წარმოდგენილს პროგრამა - „კულტურის მენეჯმენტს“, ფაქტობრივად, მენეჯმენტის პროგრამის სახე აქვს. ეს არის ინტეგრირებული, დარგობრივი პროგრამა, ისევე როგორც მაგალითად, საავიაციო მენეჯმენტი, სამედიცინო მენეჯმენტი და ასე შემდეგ. გიორგი თურქიამ დააკონკრეტა შეკითხვა, იგი დაინტერესდა საგნებში როგორ იყო ინტეგრირებული ძირითადი საკითხები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იგი ზოგადი მენეჯმენტის დარგის სპეციალისტი არ იყო. პროგრამაში ჩაერთნენ კოლეგები ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამიდან, მაგალითად, ნინო მამულაძე. ზოგადი მენეჯმენტის საგნების სილაბუსების ნაწილი ნინო მამულაძის მომზადებულია, ნაწილი კი პარტნიორი უნივერსიტეტიდან მოწვეული კოლეგების. დაწერესეულების წარმომადგენლის მითითებით, უმჯობესი იქნებოდა საბჭოს სხდომაზე ყოფილიყო ხსენებული საგნის პროფესორი, რათა მას ამომწურავად გაეცა დასმულ შეკითხვაზე პასუხი. ნინო მამულაძემ საგან „რისკების მართვასთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასში ნამდვილად შესულია ზოგადი საკითხები. ლექტორთან კომუნიკაციის შემდგომ იგი გაეცნო კონკრეტულ მაგალითებს უშუალოდ კულტურის სფეროში. მან მიუთითა, რომ კულტურისა და რისკების სფეროსთან დაკავშირებული საკითხები საგნის სწავლებისას გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, გაესაუბრა თუ არა ექსპერტი სტუდენტებს, ანდაც სპეციალისტებს. დაინტერესდა, მაგალითად საგანში „ბიზნეს გეგმა“ როგორ ხდებოდა პროექტების გაკეთება. ექსპერტის განმარტებით, ამ მიმართულებით ისინი გაესაუბრნენ, როგორც ბიზნესის მიმართულების მოწვეულ და ძირითად პერსონალს, ასევე სტუდენტებს. მაგრამ, როგორც აღინიშნა პროგრამა ახალია - მენეჯმენტის მიმართულებით ორი წელია ვითარდება და აღნიშნული ნაწილი სუსტადაა წარმოდგენილი. პროექტების შემუშავების თვალსაზრისით, რაც პრაქტიკულ კომპონენტადაა წარმოდგენილი, სტუდენტებმა ან საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეასრულონ ან პროექტები, აღნიშნული პროექტები ძირითადად კულტურის მიმართულებითაა შემუშავებული და გაწერილი, თუმცა ამ პროექტებში ფინანსურ ნაწილზე მნიშვნელოვანი აქცენტები არ ჩანს. ექსპერტის მითითებით, შესაძლოა პროგრამის სრულფასოვნად ამუშავების შემდგომ სულ სხვა ხარისხის პროექტები იქნას დაწერილი. პრაქტიკული საკითხები წარმოდგენილია, თუმცა არა ისე სიღრმისეულად, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროექტებში გვხვდება ხოლმე. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პროექტები კულტურის მიმართულებით ნამდვილად იყო გაკეთებული, ვინაიდან პროგრამა ამ დრომდე ძირითადად კულტურის მენეჯმენტზე იყო აგებული. მისი თქმით, ახალი პროგრამით ზოგადი მენეჯმენტის პროგრამისთვის პროექტები გაკეთდებოდა, არა მხოლოდ კულტურის მიმართულებით, არამედ ზოგადად მენეჯმენტის მიმართულებითაც. პროგრამის სადიპლომო ნაშრომის თემატიკა და პროექტების თემატიკა შეიცვლებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ესპერტებს გაწეული სამუშაოსათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 15:57

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის და 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

მეორე საკითხი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #680; 20.11. 2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე

7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	თბილისი, ჩარგლის ქ. 73
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #680; 20.11. 2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	თბილისი, ჩარგლის ქ. 73
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა კრედიტაციის ექსპრტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი განხილვა - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

მესამე საკითხის ზეპირი განხილვა - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა წარმოედგინა დასკვნა. ექსპერტი მიესალმა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას და მათ ექსპერტთა ჯგუფის წევრები გააცნო - ნინო ბოგვერაძე, ნონა ზუბიტაშვილი და ქეთევან ჩეკურიშვილი. ექსპერტის განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი 2020 წლის 24-25 დეკემბერს განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა, როგორც რეკომენდაციები, ისე რჩევები ორივე პროგრამასთან დაკავშირებით, მათ შორის ორი საერთო რეკომენდაცია მაგიტრატურასა და ბაკალავრიატთან მიმართებით. ექსპერტმა განხილვა დაიწყო საბაკალავრო პროგრამით. ექსპერტთა პირველი რეკომენდაცია შეეხო ინგლისური ენის კომპონენტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვეოდა, რომ სტუდენტის უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისგან განთავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი იყო სტუდენტის მიერ უნივერსიტეტისთვის ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის წარდგენა. დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან არ ირკვეოდა, თუ რა სახის საერთაშორისო დონის სერთიფიკატს მიიჩნევდა ამ საფუძვლის ფარგლებში მისაღებად უნივერსიტეტი. ამან განაპირობა პირველი რეკომენდაცია - „მიზანშეწონილია, საბაკალავრო პროგრამით განისაზღვროს თუ რა სახის საერთაშორისო დონის სერთიფიკატს მიიჩნევს უნივერსიტეტი ინგლისური ენის დამწყებთათვის სასწავლო კურსების გავლის განთავისუფლების საფუძვლად და ამასთანავე დადგინდეს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, რომელიც ამ სერთიფიკატით უნდა იქნეს განსაზღვრული“. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა რანგირების წესს, რანგირების წესი სხვა საკითხებთან ერთად, ასევე ადგენდა აკადემიური პერსონალის მხრიდან წლის განმავლობაში განხორციელებული სავალდებულო სამეცნირო საქმიანობების მოცემულობასა და წახალისების პირობებს სახელფასო დანამატის გათვალისწინებით. თუმცა რანგირების წესიდან ცალსახად არ იკვეთებოდა ვრცელდებოდა თუ არა მასში გათვალისწინებული სავალდებულო სამეცნიერო საქმიანობა ამ საქმიანობისათვის დადგენილი წახალისების პირობები წესის ამოქმედებამდე დასაქმებულ პერსონალზე. მიუხედავად იმისა, რომ მითითებული იყო მეცხრე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი, არსებული წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან CV-ების საფუძველზე ჩანდა, რომ ბოლო საანგარიშო ორი წლის განმავლობაში (2018 წლის პირველი სექტემბრიდან) რანგირების წესით დადგენილი სავალდებულო საქმიანობა განხორციელებული არ ყოფილა. შემდეგი რეკომენდაცია გახლდათ, რომ გაიზარდოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის კუთხით, რამდენადაც წარმოდგენილი ბიუჯეტიდან ეს არ დასტურდებოდა. არც ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტიდანაც. ექსპერტის განმარტებით, ბოლო ორი რეკომენდაცია რანგირების წესთან მიმართებით და პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიმართებაში ანალოგიურადაა მაგისტრატურაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს სთხოვა საკუთარი აზრის დაფიქსირება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა - მარინა გედევანიშვილმა სურვილი გამოთქვა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია. მან, უპირველეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს საკითხის განხილვაში

მონაწილეობის მიღებისათვის. მისი თქმით, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მეცამეტე გვერდზე გაკეთებულია ჩანაწერი, პროგრამის ფარგლებში ისწავლება ინგლისური, წერია რომ 10 კრედიტი - ლექსიკა, გრამატიკა ისწავლება მათთვის, ვისაც ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული აქვს ინგლისური ენა. მაგრამ ვისაც ჩაბარებული არ აქვს, გათვალისწინებულია 15 კრედიტი, რომ საბოლოოდ ყველა სტუდენტი ერთად მივიდეს B2 დონეზე. ინგლისური ენის სწავლებისგან თავისუფლდება პირი, რომელიც უნივერსიტეტს წარუდგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო დონის სერთიფიკატს. ეს არ ეხება მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც გადიან „ინგლისური ენა დამწყებთათვის“, ეს არის ზოგადად ყველა სტუდენტისთვის. თუ სტუდენტი გადმოდის ინგლისურენოვანი პროგრამიდან ან თუ სტუდენტი წარმოადგენს საერთაშორისო დონის სერთიფიკატს. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ მოთხოვნილი სერთიფიკატის დონის დაკონკრეტება საჭიროა და არგუმენტირებულ პოზიციაში ეს საკითხი მიეთითა კიდეც. მისი აზრით, პირველი რეკომენდაციის ჩანაწერი არ არის სწორი, რადგან ეს არ ეხება მხოლოდ ინგლისური ენის დამწყებ სტუდენტებს, რომლებსაც ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული აქვთ, მაგალითად, რუსული ან გერმანული ენა და უნივერსიტეტში პირველად სწავლობენ ინგლისურ ენას. ინგლისური ენის სწავლებისგან განთავისუფლდება ნებისმიერი, ვისაც ჩაბარებული აქვს ეროვნულ გამოცდაზე ან არ აქვს ჩაბარებული ინგლისური ენა, თუ კი საერთაშორისო დონის სერთიფიკატს წარადგენს ან ინგლისურენოვანი პროგრამიდან გადავა პროგრამაზე მობილობით. რაც შეეხება რანგირების წესს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ წესის ცვლილება მიმდინარეობს, თუ კი რაიმე გაუგებარია მასთან დაკავშირებით, ამის გათვალისწინებაც მოხდება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყოველი კალენდარული წლის დასასრულს ყველა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესწავლა ხდება. სამეცნიერო კვლევის დეპარტამენტი ხარისხის სამსახურს უგზავნის სპეციალურ ფორმა - კითხვარს, რომელიც დაწესებულების წარმომადგენელმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა. აღნიშნული კითხვარის შევსების ვალდებულება აქვს ყველას, ხსენებული წესი შემუშავდა 2018 წელს ავტორიზაცის სტანტარტის მოთხოვნის საფუძვლით. ასევე, არსად არაა მითითებული რომ ეს წესი არ ვრცელდება 2018 წელს აკადემიურ თანამდებობაზე აყვანილი პერსონალისთვის. რაც შეეხება უწყვეტი პროფესიული განვიტარების ხელშეწყობას, ვიზიტის ჩატარებისას უნივერსიტეტს ჯერ არ ჰქონდა მომავალი წლის ბიუჯეტი დამტკიცებული, რადგან ბიუჯეტი იანვარში მტკიცდება რექტორის მიერ. შესაბამისად, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი ბიუჯეტი, სადაც თანხები ფაქტობრივად პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგებზე და სხვადასხვა ღონიეძიებებზე, ორჯერ არის გაზრდილი.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი ვიზიტისთვის, შეხვედრები ძალიან თანამშრომლობითი და პროდუქტიული გამოდგა. პროგრამაზე მუშაობა დაიწყო 2020 წლის იანვარში, როდესაც შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული და აკადემიური პროფესორების, დამსაქმებლების ჩართულობით. გაკეთდა შრომის ბაზრის კვლევა, რომ გარკვეული ინფორმაცია დაზუსტებულიყო. გადამუშავდა პროგრამა და შესაბამისობაში მოვიდა ახალ დარგობრივ სტანდარტებთან, გადამუშავდა სილაბუსები, განახლდა სასწავლო ლიტერატურა, დაზუსტდა შეფასების სისტემის კომპონენტები, ორივე პროგრამა შეივსო ახალი ძალიან ცნობილი იურისტებით, ერთ-ერთი მაგალითად, მზია თოდუა. პროგრამაში ვკითხულობთ ჩანაწერს „ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 20 კრედიტის მოცულობით 4 სემესტრის განმავლობაში, აქედან 10 კრედიტის მოცულობით სტუდენტი სწავლობს ინგლისური ენის ლექსიკა-გრამატიკას, ხოლო 10 კრედიტის მოცულობით პროფესიულ ინგლისურს იურისტებისათვის. ინგლისური ენის 10 კრედიტის მოცულობის სწავლება გათვალისწინეუბულია ისეთი სტუდენტებისთვის, რომლებსაც ინგლისურში ეროვნული

გამოცდა აქვთ ჩაბარებული, მათ ვისაც ინგლისური ენის გამოცდა ჩაბარებული არ აქვს ინგლისურის სწავლება გათვალისწინებულია სამ სემესტრად 15 კრედიტის მოცულობით. შესაბამისად, ასეთი სტუდენტებისთვის პროგრამა ჯამში არა 240 არამედ 245 კრედიტიანი იქნება. ინგლისური ენის სწავლებისგან თავისუფლდება პირი, რომელიც უნივერსიტეტს წარუდგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო დონის სერთიფიკატს.“ ეს დათქმა არ ეხება მხოლოდ დამწყებებს, ეს ჩანაწერი ნიშნავს, რომ ინგლისური ენის შესწავლისგან თავისუფლდება ყველა, ვინც ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს წარმოადგენს. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, დადგინდეს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, რომელიც ამ სერთიფიკატით უნდა იყოს განსაზღვული, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და პროგრამაში ჩანაწერით დააზუსტა ეს საკითხი. კერძოდ, ვინაიდან ყველა სტუდენტის მისაღწევი სწავლის შედეგი არის B2 დონე, შესაბამისად ინგლისური ენის სწავლებისაგან განთავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს. ესენია, ტოეფელი, ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები და ასე შემდეგ. უნივერსიტეტში რანგირების წესი შემუშავდა 2018 წელს, რომელიც მიზნად ისახავდა ხელშეკრულებების პირობების დაყოფას მათი ვალდებულებების მოცულობის შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველზე, დიფერენცირება მოხდა 12 თვიანი ხელფასით აყვანილი პერსონალის, რომელთა ძირითადი დატვირთვა უნდა ყოფილიყო სამეცნიერო საქმიანობა და ლექცია სემინარების ჩატარებაზე ორიენტირებული პერსონალისა, რომელთა ანაზღაურება დამოკიდებული იქნებოდა ჩატარებული ლექცია-სემინარების რაოდენობაზე. სახელშეკრულებო ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ ხელშეკრულების მხარემ ცალმხრივად არ შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უფრო მეტ ვალდებულებას უწესებს მეორე მხარეს. რანგირების წესი, თავისი კონკრეტიკით, უფრო მეტად აზუსტებს და ერთგვარად პროგნოზირებადს ხდის მოლოდინებს აკადემიური პერსონალისაგან, შესაბამისად, უნივერსიტეტის მხრიდან უკვე არჩეულ აკადემიურ პერსონალთან ახალი წესების უპირობოდ გავრცელება არ მიიჩნიეს მიზადშეწონილად უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. რანგირების წესების გარდამავალ დებულებებში აღინიშნა, რომ აკადემიური პერსონალი, რომელთანაც უკვე არსებობს შრომითი ხელშეკრულება ამ წესის ამოქმედების შემდეგ ჩაითვალოს მეორე რანგის ხელშეკრულების ფარგლებში სახელფასო ანაზღაურების ცვლილების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით აკადემიურ პერსონალს ჰქონდა უფრო მაღალი ხელფასი, ვიდრე რანგირების წესით არის დაგეგმილი. იყო შემთხვევები, როდესაც პერსონალს უფრო ნაკლები ჰქონდა ხელფასი და რანგირების წესით უფრო მაღალი განაკვეთით უწევდა ანაზღაურება. წესის ძალაში შესვლამდე აყვანილი პერსონალი ავტომატურად მოექცა მეორე რანგის ვალდებულების ფარგლებში, მაგრამ ხელფასის შენარჩუნებით. ხოლო მათ ვისაც ნაკლები ხელფასი ჰქონდა, გათანაბრება მოხდა დადგენილ წესთან. რაც შეეხება შეფასებას, რომ რანგირების წესის მიღებამდე და მიღების შემდეგ აყვანილ აკადემიურ პერსონალს უნდა გააჩნდეთ თანაბარი სამეცნიერო თუ სხვა სახის ვალდებულებები არ არის შესაბამისი შეფასება. ის ფაქტი, რომ წესის დამტკიცებამდე აყვანილი ყველა აკადემიური პერსონალი, მოექცა მეორე რანგის ხელშეკრულების ფარგლებში, ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ მათზე ვრცელდება იგივე პირობები, რაც მომავალში აყვანილი მსგავსი ხელშეკრულების მქონე აკადემიურ პერსონალს ექნება. პარალელურად, დეკანებისა და აკადემიური ხელმძღვანელების ვალდებულებები განისაზღვრა პირველი რანგის ხელშეკრულების შესაბამისად. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მიმდინარეობს რანგირების წესში ცვლილებები და მას დაემატება პროფესორთა წახალისების მექანიზმი. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტის ფორმირება/მოდიფიცირება ხდება კალენდარული წლის დასაწყისში - იანვარში. უკვე დამტკიცებულია სამართლის ფაკულტეტისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამის 2021 წლის ბიუჯეტები, ექსპერტთა

რეკომენდაციების მიღებამდე მოხდა თანხების გაზრდა პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების კუთხით. რაც გამოიხატა, პერსონალის ტრენინგების, სესიების, კონფერენციების და სემინარების ჩატარების ხარჯებში. 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2021 წლის ბიუჯეტში სესიების, კონფერენციების ჩატარებისთვის გათალისწინებული არის რვა ათასი ლარი, ხოლო ტრენინგების ჩასატარებლად ნაცვლად 2020 წელს გათვალისწინებული შვიდი ათასი ლარისა, 2021 წელს გათვალისწინებულია თოთხმეტი ათასი ლარი. გარდა ამისა, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში კიდევ დამატებით პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით ტრენინგებისთვის გათვალისწინებულია ექვსი ათასი ლარი ნაცვლად 2020 წელს გათვალისწინებული ორი ათასი ლარისა.

ექსპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. საკითხი, რომელიც ინგლისური ენის სწავლებისგან განთავისუფლების საფუძველს შეეხეოდა, რეალურად გამოსწორებულია, რაც უნივერსიტეტის დასკვნითაც დასტურდება. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამაში ასახულია. რეკომენდაციაში მოხსენიებული იყო ინგლისური ენა დამწყებთათვის 1 და ინგლისური ენა დამწყებთათვის 2 სასწავლო კურსები, რომლისგანაც განთავისუფლდება სტუდენტი, თუ წარადგენს კონკრეტულ სერთიფიკატს. პროფესიული ინგლისურის სწავლებისგან არ თავისუფლდება სტუდენტი. რეკომენდაცია ეხებოდა სწორედ ამ ნაწილს, რომ კრიტერიუმი ყოფილიყო დაკონკრეტებული.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ უნდა დაზუსტებულიყო, თუ რომელ საერთაშორისო სერთიფიკატს ჩათვლიდა უნივერსიტეტი რელევანტურად. ეს არ ეხება მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც სამ სემესტრად სწავლობენ ინგლისურს, ეს ეხება მათაც, ვისაც ჩაბარებული აქვს ინგლისური ენა. ინგლისური ენის სწავლებისგან თავისუფლდება სტუდენტი, რომელიც მობილობით გადმოვა პროგრამაზე და რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს სამაგისტრო პროგრამის თაობაზე წარმოედგინა დასკვნა. ექსპერტის განმარტებით, დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვეოდა, რომ კლინიკის ნაცვლად სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლება მათი ინტერესის შესაბამისად მიეღოთ კერძო და საჯარო დაწესებულებებში, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა შესაბამისი მემორანდუმები. მემორანდუმები ადგენდა პრაქტიკის მიზანმიმართულებასა და ხანგრძლივობას, რაც შესაბამისობაში იყო სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, თუმცა ზოგიერთ მემორანდუმში არ ყოფილა ასახული იმავე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად მოთხოვნილი სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა. რეკომენდაციის მიხედვით მიზანშეწონილია, რომ დაზუსტდეს ეს შესაბამის მემორანდუმებში.

ექსპერტმა მეორე რეკომენდაციის განხილვამდე მცირე განმარტება გააკეთა. მისი მითითებით, პროგრამაში ჩართულია 16 პედაგოგი, 12 არის აკადემიურ პოზიციაზე. აკადემიური თანამდებობები შემდეგნაირადაა განაწილებული: ერთი პროფესორი, რვა ასოცირებული პროფესორი, ორი ასისტენტ-პროფესორი და ერთი ასისტენტი. სტუდენტების რაოდენობაა 147, ამ რიცხვთან მიმართებით პერსონალის თანაფარდობა დამაკმაყოფილებელია. თუმცა 12 აკადემიური პერსონალის ფარგლებში მხოლოდ ერთი პროფესორის არსებობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა არასაკმარისად, რადგან თავად სამაგისტრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ღრმა და სისტემური ცოდნის გადასაცემად, კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულებით, სამივე მიმართულებით მინიმუმ თითო პროფესორი მაინც უნდა ყოფილიყო პროგრამაში ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენელი მემორანდუმებთან დაკავშირებით ექსპერტს დაეთანხმა. სტუდენტების რაოდენობის დაკონკრეტების ნაწილში დარჩა მემორანდუმები გასაფორმებელი, საჯარო დაწესებულებებთან ხელი შეუშალა უნივერსიტეტს 18 დღიანმა დასვენებამ. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია და იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში 20 პროფესორია აკადემიურ თანამდებობაზე, აქედან 19 არის უნივერსიტეტთან აფილირებული. სამაგისტრო პროგრამაზე

არის 12 აკადემიურ თანამდებობაზე, აქედან 11 არის აფილირებული. უნივერსიტეტის წარმომადგენელი ვერ ითვალისწინებს იმ აზრს, რომ ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მხოლოდ პროფესორს შეუძლია და ეს არ შეუძლია ისეთ ასოცირებულ პროფესორებს, როგორიც პროგრამაშია დასაქმებული. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მზაობა, კანცლერის დიდი ძალისხმევა სამართლის ფაკულტეტთან მიმართებით, რომ ყველა ვინც უნივერსიტეტთან არის აფილირებული იყოს 12 თვიან გარანტირებულ ხელფასზე. უნივერსიტეტში შემუშავებულია მეთოდოლოგია, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის დაგეგმვისა. ამ მეთოდოლოგიასთან შედარებით მეტი პროფესურა ჰყავს უნივერსიტეტს, ვიდრე მეთოდოლოგიითა საჭირო. აკრედიტაციის სტანდარტში არსად არაა მითითებული, რომ აუცილებლად ყველა მიმართულებითაა საჭირო ერთი პროფესორის ყოლა. აღნიშნული არც დარგობრივ სტანდარტშია მითითებული, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელი ექსპერტებს დაეთანხმა, რომ რაც უფრო მეტი პროფესორის მოზიდვას შეძლებს უნივერსიტეტი ფაკულტეტისა და პროგრამების გაძლიერებისთვის, ეს იქნება ძალიან კარგი. პროგრამაზე დასაქმებული პერსონალი ყველა პროფესიონალია, ექსპერტები წერენ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ აქვთ სერიოზული სამეცნიერო აქტივობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ 19 საბაკალავრო პროგრამისა და 11 სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში აფილირებული პროფესორი ჰყავს უნივერსიტეტს. ამ ეტაპისთვის ყველაფერი გათვლილია სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე. პროფესორებს ხელშეკრულებით რამდენი საათიც ევალებათ იმდენი საათით უნდა იყვნენ დატვირთულები. ისეთი პროფესორები, რომლებიც ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არიან ნამდვილად არ ჩამომოუვარდებიან არცერთ პროფესორს. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს დიდი მადლობა გადაუხადა.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა სურვილი გამოთქვა საკუთარი აზრის დაფიქსირებისა. მისი თქმით, ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი დაწყებული იყო, ექსპერტების ვიზიტის დროს უკვე დამატებითი მემორანდუმები იყო გაფორმებული, აღნიშნული პროცესი გრძელდებოდა. დასვენების დღეების გამო პროცესი დროულად ვერ დასრულდა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარესა და დიმიტრი გეგენავას სურდათ აზრის დაფიქსირება. საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ეს ყოველივე ემსახურებოდა ორივე პროგრამის სრულყოფასა და განვითარებას. საუბარი განაგრძო დიმიტრი გეგენავამ, იგი მიესალმა საბჭოზე დამსწრე პირებს. უნივერსიტეტისა და მისი აკადემიური პერსონალის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს საბჭოს წევრს, ორივე პროგრამის ხელმძღვანელს იცნობს, მისი განმარტებით, გამოთქმული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესებას ემსახურება. დიმიტრი გეგენავას გარკვეულ საგნებთან დაკავშირებით სილაბუსებში უხეში შეცდომების არსებობა ძალიან გაუკვირდა, უნივერსიტეტის პრაქტიკისა და ხელმძღვანელების პროფესიონალიზმის გათვალისწინებით. ზოგიერთი საგნის შინაარსს, სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკა სცდება. დიმიტრი გეგენავამ ყურადღება საჯარო სამართალსა და სამართლის მეთოდებზე გაამახვილა. „სამართალმცოდნეობის შესავალი“ თემატიკის ნაწილი კვეთს „შესავალი საკონსტიტუციო სამართლის“ თემატიკას, სამი თემა არის ზედმიწევნით ერთიდაიგივე, მხოლოდ სხვადასხვა ლიტერატურის მითითებით. თუმცა, მათი აღწერილობა, მათი შედეგი, მიზანი არის ერთიდაიგივე. ეს არის სახელმწიფოს მექანიზმი, სახელმწიფოს ფორმა, სახელმწიფოს არსი და წარმოშობა, პირდაპირ დუბლირებულია ამ ორ საგანში აღნიშნული თემატიკები. ორივე პირველი სემესტრის საგანია, შესაბამისად უხერხულია ერთსა და იმავე თემაზე საუბარი ორ სხვადასხვა საგანში. პერსპექტივა ვერ იქნება სხვადასხვა, რადგან აღწერილობა და დეტალური ჩაშლა მიუთითებს, რომ ერთსა და იმავე თემაზეა საუბარი. ასევე, ნორმატიულ აქტებზე საუბრისას არ არის რელევანტური ლიტერატურა მითითებული, ნორმატიული აქტების ქართულ ნაწილს საერთოდ არ ეხება არც ერთი ლიტერატურა. მითითებული ლიტერატურა კი არის ძველი და არ ეხება თანამედროვე საკითხებს. სამართლის

ფილოსოფია არის მაგისტრატურის ეტაპზე, ეს იმას ნიშნავს, რომ არსად სხვა საგანში არ ისწავლება სამართალმცოდნეობის ისეთ ფუძემდებლური საკითხები შესავლის დონეზე, როგორიცაა, მაგალითად, სამართლის მიმართება მორალთან, სამართლიანობასთან, ეთიკასთან. გამოდის რომ ოთხი წელი იურისტი ისე სწავლობს და ამთავრებს, რომ სამართლის ფუძემდებლურ, მათ შორის, ეთიკურ და ღირებულებით სტანდარტს, მხოლოდ პროფესიული ეთიკით ივსებს. მეორე საგანი ეს არის „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში" სილაბუსის თემები არ ფარავს თემატიკას, გამორჩენილია ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკონსტიტუციო სამართალი, საკონსტიტუციო კონტროლი, საგადასახადო/საბიუჯეტო და საფინანსო სისტემის საკონსტიტუციო მხარეები, არ არის ყურადღება გამახვილებული საფინანსო კონტროლის საკონსტიტუციო სამართლებრივ ასპექტებზე. არ არის რელევანტური ლიტერატურა მითითებული, მითითებულია ერთი ან ორი წიგნი, რომელთაგანაც ერთი საერთოდ არ ფარავს თემატიკას. შემდეგი განსახილველი საგანია „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი", მითითებულია ოთხი და ხუთი წლის წინანდელი სახელმძღვანელოები, მითითებული ორივე ლიტერატურის უახლესი ვერსიები არსებობს. აღნიშნული არ შექმნიდა პრობლემას, რომ არა ერთი მნიშვნელოვანესი გარემოება, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი მიემართება საქართველოს კონსტიტუციას, რომლის მთელი რედაქცია შეიცვალა 2018 წელს. ამიტომაც 2018 წლის ბოლოდან მოქმედებს ახალი რედაქცია, რომელსაც საერთოდ არ ფარავს მითითებული ლიტერატურა. გარდა ამისა, თემები მეორდება, სილაბუსი ძალიან სუსტია. შესავალი საკონსტიტუციო სამართლის თემატიკას იმეორებს საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის თემატიკა. დუბლირებაა ამ ორ საგანს შორის და ხდება თემების გაბევრება სილაბუსში, ეს შეეხება პირველ, მესამე, მეექვსე, მერვე, მეთერთმეტე თემებს. სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია 4 წლის წინ გაუქმებული კანონი, მათ შორის თემატიკაშიც. ესაა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონი". არაა განხილული საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი საკონსტიტუციო ორგანოები, არაა განხილული საქართველოს საფინანსო და საგადასახადო სისტემების საკონსტიტუციო საფუძვლები, ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოების საკონსტიტუციო საფუძვლები. შემდეგი პრობლემური საგანია „საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება", ამ საგნის არსებობა ძალიან კარგია, წესით, უნდა მიემართებოდეს დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ საკონსტიტუციო სამართალწარმოებით საკითხებს, ვინაიდან ესაა ამოსავალი იდეა, თუმცა საკონსტიტუციო სამართალწარმოებას ეხება მხოლოდ მეათე, მეთერთმეტე და მეთხუთმეტე თემები სილაბუსიდან. დანარჩენი თემები ორიენტირებულია ზოგად საკითხებზე. გამორჩენილია მნიშვნელოვანი საკითხები, რის გამოც ფიზიკურად ვერ გავა პროგრამა დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ შედეგზე. ლიტერატურა არის მოძველებული, არაა მითითებული ამ სფეროში არსებული უახლესი კვლევები და გამოცემები, მითითებულია გაუქმებული კანონი. „ადამიანის ძირითადი უფლებები" მითითებულია ძირითადად ორი სახელმძღვანელო, თუმცა რამდენად უნდა მიეთითოს თემატიკის დიდნაწილზე კონსტიტუციის კომენტარი, რომელიც საკმაოდ მოძველებულია და საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკა მთლიანად შეცვალა, საკითხავია. არ არის გათვალისწინებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, თუ არ ჩავთვლით კოტე კუბლაშვილის წიგნს, რომლითაც გარკვეულწილად იფარება პრაქტიკის ნაწილი, მაგრამ არა საკუთრივ მნიშვნელოვანი უფლებების შინაარსი და ჩარევის მექანიზმები. არაა განხილული მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებებით დადგენილ შედეგზე გასვლა, რადგანაც ეს არის რაც პრაქტიკაში მოელის სტუდენტს და მომავალ იურისტს. „ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა" აქ არა მხოლოდ გაუქმებული კანონია მითითებული, ასევე არ არსებობს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ. დაახლოებით სამი წელია გვაქვს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, შესაბამისად არაა სილაბუსი განახლებული და მოყვანილი შესაბამისობაში. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში" აკადემიური ლიტერატურა არ არის მითითებული. ბოლო სამ წელიწადში გამოცემულია არაერთი

საინტერესო წიგნი და სტატია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით, მთ შორის, სილაბუსის ავტორის ავტორობით, რედაქტორობით. „ევროკავშირის სამართალი“-ში მითითებულია ცხრა წლის წინანდელი ლიტერატურა, რომელიც საკითხთა დიდ ნაწილში არარელევანტურია, რადგანაც შეცვლილია ევროკავშირის ფუძემდებლური დებულებები. არაა მითითებული ბოლო სამ და ოთხ წელში გამოცემული ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც პირდაპირ ამ საკითხს ეხება. „დიპლომატიური და საკონსულო სამართალი“ მითითებული ქართულენოვანი წიგნი არის იგივე რაც „საერთაშორისო საჯარო სამართალში“. ინგლისურენოვანი წიგნი კი სამართალს არ ეხება, არის ზოგადად დიპლომატიურ ურთიერთობებზე. ეს იყო ის ძირითადი საკითხები რაც აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინა დიმიტრი გეგენავას. მისთვის გასაკვირი აღმოჩნდა განსაახლებელი, მცდარი ინფორმაციისა და დაუმუშავებელი სილაბუსების არსებობა პროგრამაში.

თემატური გადაფარვების არსებობის გამო საბჭოს თავმჯდომარემ უმჯობესად მიიჩნია სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული შეხედულებების ამ ეტაპზე განხილვაც. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით სისხლის სამართლის მიმართულებით თითქმის არ ფიქსირდება პრობლემა, ეს დიდწილად შეიძლება განპირობებული იყოს კვალიფიციური პერსონალით. მისი მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მინდია უგრეხელიძე ასაკში შევიდა, სისხლის სამართლის მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ძალიან ძლიერი კონტიგენტი ჰყავს. კერძო სამართლის მიმართულებით ბევრი რამ, მათ შორის აკადემიური პერსონალის ნაწილში, გამოსასწორებელი იქნება. საერთო სურათის უკეთ წარმოსაჩენად, დიმიტრი გეგენავამ განაგრძო სამაგისტრო პროგრამის განხილვა. სამართლებრივ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ გაცხადებული მიზანი და შედეგები რეალურად არ მიიღწევა საგნის შინაარსით. საგნის შინაარსი არის სამართლებრივი ინგლისურის კურსი და არა სამართლებრივი კომუნიკაცია. იგი არის ინფორმაციის გაცემა მიწოდებაზე ორიენტირებული და არა საკვანძო სიტყვებზე, რომლებიც კონკრეტულ დარგებში არსებობს. „ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმები“ შინაარსობრივად არ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, ფაქტობრივად იდენტურია ადამიანის უფლებების შინაარსის. რეალური სახელწოდებიდან გამომდინარე არაა გამოყოფილი ძირითადი მექანიზმები და დაცვის საშუალებები, რომელიც უნდა ისწავლებოდეს. დუბლირებულია ადამიანის უფლებებთან, ლიტერატურაც ბაკალავრიატისთვის დამახასიათებელია. რაც შეეხება თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალს, არ არის გამოკვეთილი ის კონკრეტული მიმართულებები და არც აღწერიდან გამომდინარეობს, თუ რატომ არის ეს მაგისტრატურის სიღრმისეული ანალიზი, რატომ შეესაბამება ეს საგანი მაგისტრატურის საფეხურს, დუბლირებაა ბაკალავრიატთან, იგივე შეფასებისა და ანალიზის მეთოდებია. ნაკლებია შედარებით სამართლებრივი მეთოდები, რაც მაგისტრატურაზე გაძლიერებული უნდა იყოს. სისხლის სამართლის მიმართულების სამ საგანთან დაკავშირებით სურდა დიმიტრი გეგენავას აზრის დაფიქსირება. თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია მან შეადარა ბაკალავრიატში მის შესაბამის საფუძველ სისხლის სამართლის საგნებს, ლიტერატურა ემთხვევა ერთმანეთს, საკითხები ემთხვევა ერთმანეთს, რითი განსხვავდება ზოგადი ნაწილისგან შეუძლებელია დადგენა. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ერთი საგანი ან მისი გაღრმავება არ უნდა ისწავლებოდეს მაგისტრატურაზე ან დოქტურანტურაზეა. ეს შესაძლებელია, რა თქმა უნდა. ერთი საკითხიც კი შეიძლება ჩაიშალოს იმხელა საგნად, რომ ცალკე იყოს შემოთავაზებული. როდესაც ლიტერატურა იგივეა, შინაარსი იგივეა, აღწერილობა იგივეა, ფიზიკურად შეუძლებელია ივარაუდო, რომ ბაკალავრიატისგან განსხვავებული რამ ისწავლება. ანალოგიურია, ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და საყოველთაო საზოგადოებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. გადახდისუუნარობის სამართალი და შედარებითი ვალაუვალობის სამართლის სილაბუსი არის ერთიდაიგივე, წყაროები, შინაარსი, წიგნები, კანონები ერთიდაიგივეა. შედარებით ვალაუვალობას არაფერი შედარებითი სამართლებრივისა არ აქვს. გადახდისუუნარობის სამართალი შინაარსობრივად ნამდვილად შეესაბამება ბაკალავრიატს, არის შინაარსობრივად

კარგი. მაგრამ მაგისტრატურის შედარებით ვალაუვალობა არის ზუსტად იგივე, რაც ბაკალავრიატზეა მოცემული. ეს იყო მაგისტრატურასთან დაკავშირებით დიმიტრი გეგენავას შეფასებები. მან ხაზი გაუსვა ისეთ დეტალებს, რაც ფაქტობრივი ნაწილია.
საკითხის განხილვა განაგრძო ირაკლი ბურდულმა, ყურადღება გაამახვილა კერძო სამართლის მიმართულებაზე და შეეცადა გამოეყო, თუ რა იყო მთავარი პრობლემა სამაგისტრო პროგრამისა. მაგისტრატურის საფეხურზე კერძო სამართლის მოდული აერთიანებს ცხრა საგანს, ძირითადად ეს საგნები შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიით უნდა იყოს აგებული. აღნიშნული ცხრა საგნიდან, ხუთ ან ექვს საგანს თუ მიზნებისა და შედეგების არქონის მოტივით პრობლემას შევუქმნით, კერძო სამართლის მოდულში დარჩება რამდენიმე საგანი, რომელსაც სტუდენტი ერთი სემესტრის განმავლობაშიც ვერ აირჩევს.

პირველი საგანი, რომელზეც ირაკლი ბურდულმა ყურადღება გაამახვილა არის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და სასამართლო პრაქტიკა. იგი გახლავთ მაგისტრატურის საფეხურის საგანი. ძალიან კარგია, როდესაც მაგისტრატურაში ესა თუ ის საკითხი გაღრმავებას ემსახურება და საგანი აერთიანებს კომლექსურად სასამართლო პრაქტიკას. თუმცა, მაგისტრატურის აღნიშნულ საგანსა და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების სამართალს შორის არანაირი თემატური განსხვავება თითქმის არ არსებობს.

მან აღნიშნა, რომ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და სასამართლო პრაქტიკა (მაგისტრატურა) - კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (ბაკალავრიატი). ორივე სილაბუსში არის მცდელობა საკითხთა განსხვავებული თემატიკის წარმოჩენისა, თუმცა საკითხები არსებითად ურთიერთმომცველია (მე-4 თავი მეორე სილაბუსის მე-5 თავს ემთხვევა, მე-6 თავი - მეორე სილაბუსის მე-7 თავს). როგორც კურსის სახელწოდებიდან ვლინდება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურსზე კურსის თემატიკის გამიჯვნა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის ჭრილში საკითხთა შესწავლის მიზნით არის განპირობებული. თუმცა, მაგისტრატურის სილაბუსი შეიცავს ზოგად მითითებას სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის ვებ-გვერდზე და არა კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე, რომლის ანალიზის შემოთავაზებას აპირებს ლექტორი კონკრეტული სალექციო თემის ფარგლებში. მან დასძინა, საგულისხმოა, რომ ლიტერატურა მაგისტრატურის კურსის სილაბუსში არ მოიცავს კონკრეტულ გვერდებზე მითითებას, რის გამოც გაურკვეველია რამდენად ზუსტად, რა ფარგლებით პასუხობს სალექციო თემას მითითებული ლიტერატურა და რა მოცულობის ტექსტია სტუდენტის დატვირთვაში მოაზრებული. მან მოიყვანა მაგალითად მაგისტრატურის სილაბუსის მე-3 თავი, რომელიც მოიცავს შემდეგ სალექციო თემებს: დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ვალდებულების ძირითადი ნიშნები; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგები; მეპატრონისათვის შეტყობინების ვალდებულება; შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა; გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება; გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობა; დავალების გარეშე სხვისი საქმეების კვაზიშესრულება; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასა და უსაფუძვლო გამდიდრებას შორის ურთიერთკავშირი.
მან აღნიშნა, რომ გამოსაყენებელ ლიტერატურაში მითითებულია ერთი სტატია, რომელიც მხოლოდ საკითხის კეთილსინდისიერების პრინციპთან კავშირს გამოკვეთს და სტატიის მოცულობა 8 გვერდს არ აჭარბებს. თემატიკაში მითითებული საკითხთა ფართო წრე არ შეიძლება იყოს ამოწურული 8 გვერდის მოცულობის სტატიით, რომელიც შესრულებულია იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-4 სემესტრის სტუდენტთა თანაავტორობით.
(ა. მაისაშვილი, თ.პაპასქირი, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მიმართება კეთილსინდისიერების პრინციპთან, კერძო სამართლის მიმოხილვა N2, თბ. 2019 http://www.library.court.ge/upload/KerZo-mimo-II.pdf)

მან დაამატა, რომ ვინაიდან სილაბუსში არ არის მითითებული ლიტერატურის გვერდები, ვერ გაიზომება თუნდაც მრავალრიცხოვანი ლიტერატურის შესაბამისობა თემატიკასთან, როგორც ეს ხარვეზი ზემოთ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე წარმოჩინდა.
მან ისაუბრა ასევე სანივთო სამართალზე - (ბაკალავრიატი), შედარებითი სანივთო სამართალზე (მაგისტრატურა).

და განმარტა, რომ მაგისტრატურის საგნის პროგრამის თემატიკა არსებითად ემთხვევა ბაკალავრიატის საგნის თემატურ სტრუქტურას, თუმცა სალექციო თემათა სათაურები იმდენად ზოგადია, რომ შეუძლებელია აღქმული იყოს სანივთო უფლებათა რა ასპექტები არის შედარებითსამართლებრივ კონტექსტში სწავლების საგანი. აღნიშნულს ემატება სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ზოგადი მოხსენიება კონკრეტული გვერდების მითითების გარეშე, რაც შეუძლებელს ხდის მითითებული ლიტერატურის რელევანტურობისა და შესაბამისობის განსაზღვრას კონკრეტულ საკითხთან კავშირში. იგი დაინტერესდა, კურსის ავტორი საკითხთა თუ დეტალიზაციას აკეთებდა საბაკალავრო კურსის სილაბუსსში, კონკრეტული გვერდების მითითებით, თუ რატომ არ არის იგივე მოთხოვნა დაცული მაგისტრატურის კურსის სილაბუსში. აღნიშნული ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ გამოსაყენებელი ლიტერატურა სისტემურად და კომპლექსურად არ ითვალისწინებს კურსის თემატიკით განსაზღვრული საკითხების შედარებითსამართლებრივ ანალიზს.
მან დაამატა, რომ სალექციო კურსის თემატიკა უმთავრესად ეფუძნება ერთ წყაროს (ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), გამომც. "ბონა კაუზა", თბილისი, 2014). 13 თემიდან გამოსაყენებლად მითითებული 10 თემასთან მიმართებით ცალკეულ შემთხვევაში, ცალკეულ თემებზე მხოლოდ აღნიშნულ წყაროს მითითებას ვხვდებით. აღნიშნული ნაშრომი არ არის საკმარისი ცალკეული ინსტიტუტების შედარებითსამართლებრივ კონტექსტში სწავლებისთვის. ამასთან, იგი დაინტერესდა თუ რატომ არ მოხდა აღნიშნული წყაროს მითითება ბაკალავრიატის პროგრამის კურსში და დასვა კითხვა - აღნიშნული ხომ არ ემსახურებოდა ლიტერატურის ხელოვნური გამიჯვნის ფორმალურ მიზანს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის საფეხურზე. სილაბუსში მითითებული ინგლისურენოვანი წიგნის სარჩევი მოიცავს არა მხოლოდ სანივთო, არამედ ვალდებულებითი სამართლისა და ზოგადი კერძო სამართლის სისტემათა შედარებას (Gordley,An Introduction to the Comparative Study of Private Law – James Gordley, Arthur Taylor von Mehren, 2006). ამ ნაშრომის მითითებაც ეპიზოდური და ფრაგმენტულია სასწავლო კურსის ფორმატში და სანივთო სამართლის ნაწილში მხოლოდ 100 გვერდს მოიცავს.
მან აღნიშნა, რომ უმთავრეს პრობლემად რჩება დამოუკიდებელ სალექციო კურსად წარმოდგენილი საგნის აღიარების საფუძვლიანობა კურსის თემატურ-შინაარსობრივი სტრუქტურის განუსაზღვრელობიდან გამომდინარე. კურსის შინაარსში გარკვევის შესაძლებლობას არც გამოსაყენებელი სასწავლო ლიტერატურა იძლევა, მისი მეტად ზოგადი და არასისტემატიზირებული მითითების ფორმიდან გამომდინარე. სილაბუსის შედგენის კუთხით განსახვავებული მიდგომები აქვს კურსის ხელმძღვანელს. საბაკალავრო საფეხურის კურსის ფარგლებში ვხვდებით მეტ დეტალიზაციას კურსის შინაარსობრივი ფარგლების განსაზღვრის მიზნით, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე სალექციო თემატიკა იმდენად განზოგადებულია, რომ არ იძლევა კურსის შინაარსობრივი სტრუქტურის ამოცნობის შესაძლებლობას.
აქვე მან აღნიშნა, სილაბუსის მეორე თემა: (2 ლექცია ძირითადი სამართლებრივი სისტემების - კონტინენტალური სამართლისა და საერთო სამართლის შედარება) შეუსაბამოდ ვრცელია და ფრაქტიკულად ფარავს მთელი კურსის ზოგად მიზანს. საინტერესოა ის განზოგადებული ნიშნები და საკითხები, რა კრიტერიუმითაც ახდენს ავტორი კონტინენტურ და საერთო სამართლის სისტემათა შედარებით დახასიათებას. ისევე როგორც სხვა სალექციო თემების ნაწილში, მე-2 თემის სათაურიც უზოგადესი და კონკრეტული სალექციო სტრუქტურისთვის არაფრისმთქმელია. მან დასძინა, რომ საყურადღებოა თუ რა ნიშნით, რა სისტემებზე აქცენტირებით მოხდა დამხმარე ლიტერატურის შერჩევაც. ამასთან, დამხმარე ლიტერატურის

მითითებას პრაქტიკულად არ აქვს სტუდენტისთვის მაორიენტირებელი მნიშვნელობა, რადგან დამხმარე ლიტერატურის ცალკეული წყარო არ არის განაწილებული სალექციო კურსის ცალკეულ თემასთან მიმართებით. დამხმარე ლიტერატურის განყენებული ჩამონათვალი არ გვაძლევს ინფორმაციას, როგორ დაეხმარება ეს ლიტერატურა ავტორს სანივთო სამართლის ანალოგი ინსტიტუტების ურთიერთკავშირში ანალიზის პროცესში. მან ახსენა თემა 1. შედარებითი სანივთო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში სავალდებულო ლიტერატურა An Introduction to the Comparative Study of Private Law – James Gordley, Arthur Taylor von Mehren, 2006.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (ბაკალავრიატი). მითითებულია სამოქალაქო კოდექსის კომენტარის 2001 წლის გამოცემა. ასევე გაურკვეველია, რომელი წყარო აქვს მხედველობაში სილაბუსის ავტორს, როდესაც უთითებს წყაროზე: ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ავტორთა კოლექტივი ლ. ჭანტურია, თ.კორძაია, ბ. ზოიძე სხვ., თბ., 2016. სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის ამგვარი გამოცემა არ არსებობს. მან ხაზი გაუსვა, რომ სავალდებულო ლიტერატურაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის უახლესი 2019 წლის კომენტარი (რედ. ლ.ჭანტურია). გაუართლებელია ისიც, რომ არც სავალდებულო და არც დამხმარე ლიტერატურაში არ ვხვდებით ისეთ სახელმძღვანელოს მითითებას, რომელიც მთელ სასწალო კურსს ფარავს: *რობა ქიძეი., ძლიერიშვილიზ., ცერცვაძეგ., რობაქიძეი., სვანაძეგ., ცერცვაძელ., ჯანაშიალ.*, სახელშეკრ ულებო სამართალი, თბ., 2014 (756 გვ.) http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf

მან ისაუბრა ასევე შედარებით სახელშეკრულებო სამართალზე (მაგისტრატურის საგანი) და აღნიშნა, რომ გაურკვეველია კურსის კომპოზიცია. კერძოდ, თუ რის სწავლებას ისახავს მიზნად აღნიშნული კურსის სილაბუსი, ზოგადი ვალდებულებით-სამართლებრივი ინსტიტუტების შედარებას კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის მართლწესრიგთა ანალოგიურ ინსტიტუტებთან, თუ ცალკეული ტიპის ხელშეკრულებების ანალიზს. ეპიზოდური, პრაგმენტული განაწილება საკითხებისა ნათლად მეტყველებს კურსის მთლიანობის არარსებობაზე. კერძოდ, სალექციო თემატიკა ნაწილდება შემდეგ საკითხებზე: შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში; ძირითადი სამართლებრივი სისტემების - კონტინენტალური სამართლისა და საერთო სამართლის შედარება; ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები; ხელშეკრულების დადება; კაუზისა და საპასუხო დაკმაყოფილების ცნებების შედარება; ნების ნაკლი ხელშეკრულებებში; ხელშეკრულების შესრულება; ნასყიდობის ხელშეკრულება ფრანგული სამართლის მიხედვით; ნასყიდობის ხელშეკრულება გერმანული სამართლის მიხედვით; ნასყიდობის ხელშეკრულება ვენის კონვენციის მიხედვით. ე.ი. სილაბუსი არასრულყოფილად აანალიზებს ზოგად ვალდებულებით-სამართლებრივ კატეგორიებს - ხელშეკრულების დადება, ნამდვილობის წინაპირობები, ნების ნაკლი, ხელშეკრულების შესრულება. ამ ლოგიკით სილაბუსი მიყვება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კატეგორიებს. თუმცა სწავლების მიღმა რჩება ისეთი საკითხები როგორიცაა ვალდებულების დარღვევა, მეორეული მოთხოვნის უფლებები, ვალდებულების შეწყვეტა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები და ა.შ. ცალკეული ზოგადი ვალდებულებითსამართლებრივი კატეგორიის ანალიზის შემდეგ სილაბუსი მიზნად ისახავს ნასყიდობის ხელშეკრულების დადარებას ფრანგულ, გერმანულ სამართალთან და ვენის კონვენციის რეგულირებასთან. გაურკვეველია რა ნიშნით აკეთებს არჩევანს სილაბუსის ავტორი მხოლოდ ერთი ტიპის ხელშეკრულებაზე. თუ მიზანი ვალდებულებითსამართლებრივი კატეგორიების ურთიერთკავშირში ანალიზია, მაშინ რატომ შემოდის ნასყიდობის ხელშეკრულების სწავლება. თუ ცალკეული ტიპის ხელშეკრულებების შედარებითსამართლებრივი მეთოდით სწავლება აქვს მიზნად ავტორს, რატომ ეთმობა სილაბუსის სალექციო თემათა ნახევარი ზოგად ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიებს. რამდენად შეიძლება შედარებით სახელშეკრულებო სამართალს მიზნად ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხელშეკრულების მაგალითზე მართლწესრიგთა სისტემური ანალიზის მიზანი, ან რა

პირდაპირ კორელაციაშია ზოგადი ვალდებულებით-სამართლებრივი საკითხები ნასყიდობის კონკრეტულ ხელშეკრულებასთან და როგორ აფორმირებს ეს ყოველივე ერთიანი დისციპლინის კომპოზიციას. მან დასძინა, რომ აღნიშნული კურსის სტრუქტურა არ აკმაყოფილებს არც შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის დისციპლინის პროგრამის შინაარსს და არც საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის კურსის მოთხოვნებს.
მან აღნიშნა, რომ ეკონომიკური სამართლის ბლოკს სამაგისტრო პროგრამაში, ასევე აქვს ლიტერატურის გადაფარვა. მან მაგალითად მოიყვანა, შედარებითი ვალაუვალობის სამართალი და გადახდისუუნარობის სამართალი, რომელიც ბაკალავრიატის საფეხურზე ისწავლება, ლიტერატურა ერთიდაიგივეა. ბაკალავრიატის საფეხურზე არის მცდელობა, რომ გადახდისუუნარობის სამართლის კურსის სილაბუსში გვერდები გამოიყოს, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით წიგნში აღნიშნული გვერდები სწორედ იმისთვის გამოიყენება, რომ შედარებითი ვალაუვალობის სამართლის კურსის შესაბამისი საკითხების განხილვა მოხდეს. გვერდების მითითება შეიძლება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდეს, რადგან შინაარსი ლიტერატურაში მოყვანილი საკითხებისა არის დუბლირებული ორივე საგანში. მან დასძინა, რომ აღნიშნული პროფ. მიგრიაულის საგანია და საბჭოს თავმჯდომარის მითითებით ის უკეთ ახსნიდა ყოველივეს. ვალაუვალობის სამართალი იყო გადახდისუუნარობის სამართლის ნაწილი, სადაც ჩაშლილია გაკოტრების სამართალი, ვალაუვალობის სამართალი და ასე შემდეგ. შედარებით ვალაუვალობის სამართალში არის ისეთი საკითხები, რომელიც უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრიატის საფეხურზე, რაც წარმოდგენილია გადახდისუუნარობის კურსის ფარგლებში. ვალაუვალობის სამართლის მიზანი, განვითარება, საფუძვლები და წარმოების დაწყება, განცხადების შინაარსი და კრიტერიუმები, განცხადების წარმოების განხილვა, სასამართლო გადაწყვეტილება განცხადების ირგვლივ - ეს ქართულ სასამართლო პრაქტიკას ეხება. გადახდისუუნარობის სამართალი იდენტურია თითქმის, მიუხედავად ტერმინოლოგიური განსხვავებისა. შემდეგი საკითხი, რომელზეც საბჭოს თავმჯდომარეს სურდა ყურადღების გამახვილება, არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალი. არასისტემურად არის სტრუქტურირებული აღნიშნული საგნის სილაბუსი. მხოლოდ მეცხრე თემიდან იწყება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ-ერთი სეგმენტის თაობაზე საუბარი. მსგავსი საგნის ფარგლებში ნებისმიერ ქვეყანაში (განსაკუთრებით კი კონტინენტურ-ევროპული სამართლის ოჯახს მიკუთვნებულში) ორ ძირითად მიმართულებაზე მახვილდება აქ ყურადღება. ეს გახლავთ კაპიტალის ბაზრის ორი ფუნქცი: თავად ბაზრის ფუნქციაუნარიანობა (მისი ორგანიზაციული მოწყობა, სისტემა, უფლებამოსილება და ა.შ.) და ინვესტორის (ფულის დამბანდებლის) უფლებათა დაცვა/განხორციელება. სწორედ ამაზე უნდა იყოს აგებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის (კაპიტალის ბაზრის) სამართლის კურსი. ფასიანი ქაღალდების სამართლის კურსებიც არსებობს საქართველოში და თუ დაწესებულებას სურს აღნიშნულის სწავლება, მაშინ პირველიდან მეცხრე თემამდე დატანილი საკითხები შინაარსობრივადაც და სისტემურადაც სწორედ აქ უნდა იყოს მოცემული (ფასიანი ქაღალდების არსზე, სახეებზე, გარიგებაუნარიანობაზე, ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციაზე, უფლებების გადაცემის წესზე, არაემისიური ფასიანი ქაღალდების სახეებზე, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების სახეებზე და ა.შ. თუკი სურვილია კომბინირებული პროგრამის გაკეთებისა, სახელწოდებით ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალი, მაშინ მიზანშეწონილია, შეიცვალოს სილაბუსის სტრუქტურა. საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, გასათვალისწინებელია ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლის სფეროში, კაპიტალის ბაზრის სამართალში არსებული უახლესი ლიტერატურა. ბოლო წლებში რამდენიმე დამაფუძნებელი ნაშრომი გამოვიდა ქართულ ენაზე. არც ერთი მათგანი არ არის სილაბუსში მითითებული. კაპიტალის ბაზრის სამართალში არ არსებობს ამ ნაშრომების გარდა რაიმე სხვა ლიტერატურა ქართულ ენაზე. ამიტომაცაა მიზანშეწონილი ამ წიგნების მითითება სილაბუსებში. რაც შეეხება საკორპორაციო სამართალს. იგი, როგორც პროგრამის შედეგის ფორმირებაში ინტეგრირებული ერთ-ერთი სავალდებულო კურის ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე. თავდაპირველად გადმოგზავნილ საბუთებში, სილაბუსი სიტყვასიტყვით გადაწერილი იყო, 2008 წელს საბჭოს თავმჯდომარის მიერ

გაკეთებული სილაბუსიდან. თუმცა ამის შემდეგ გარკვეული ცვლილებები შევიდა. ახალ სილაბუსთან დაკავშირებითაც გაუჩნდა ირაკლი ბურდულს კითხვები. ნონა ზუბიტაშვილიც ასევე ამ მიმართულების პროფესორია ერთ-ერთ უნივერსიტეტში, იგი ირაკლი ბურდულის მოწაფე იყო და მასთანაც სურდა შეკითხვის დასმა საბჭოს თავმჯდომარეს საგანთან დაკავშირებით. ბურდულის აზრით, ძირითადი პრობლემა, რომელიც აღნიშნულ საგანს აქვს მდგომარეობს თავად ამ საგნის არასისტემურობაში. სწავლების მეთოდოლოგია და კანონის სისტემატიკა განსხვავდება ერთმანეთისგან. საგნის აგებულება, რითაც ხდება სტუდენტისთვის სწავლება სხვა რამეს ეფუძნება, ხოლო კანონისა სხვას. რამდენჯერმე ნახმარია „პიროვნული ტიპის სამეწარმეო საზოგადოებები“. მსგავსი ტიპის საზოგადოება, საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, ტერმინოლოგიურ დონეზე საერთოდ არ არსებობს. ეს არის ამხანაგური ანუ პერსონაფიცირებული საზოგადოებები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - აქ არის საკითხები: არსი, ცნება, საწესდებო კაპიტალი და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საწესდებო კაპიტალი საერთოდ არ არსებობს. თუ კი ბაკალავრიატის საფეხურზე ისწავლება ქართული საკორპორაციო სამართალი, მაშინ სხვანაირი ფორმულირება უნდა მოხდეს საკითხისა. შემდეგ მოდის რეგისტრირებული კოოპერატივი. კანონშიც და მეთოდოლოგიურ საფუძვლებშიც, რეგისტრირებულ კოოპერატივს ან საერთოდ არ ასწავლიან საკორპორაციო სამართლის სივრცეში, იმიტომ, რომ იგი კლასიკურ სამეწარმეო კორპორაციულ ფორმად არ ითვლება ან თუ ასწავლიან, მაშინ სულ ბოლოს. თუმცა, პროგრამაში მეთორმეტე თემაა რეგისტრირებული კოოპერატივი, მეცამეტე თემა - სააქციო საზოგადოება და საკორპორაციო სამართლის სხვა საკითხები, რედომიცილება. ირაკლი ბურდულის შეხედულებით, საკითხები ქაოტურადაა დალაგებული, შესაბამისად სილაბუსიც გადასახედია.
მან აღნიშნა, რომ შემდეგი კურსი მაგისტრატურის დონეზე არის მედიაცია. ამ საგანსაც არსებითი ხარვეზების აქვს: სწავლების მიზნების რელევანტურობა და თემატიკის შესაბამისობა სწავლების შედეგებთან.
სილაბუსის ავტორი სწავლების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად განსაზღვრავს: მისცეს [სტუდენტს] ღრმა და სისტემური ცოდნა მედიაციის წარმართვის პრინციპების, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესების, მედიატორის უფლებამოსილებების და მედიაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, მედიაციის თაობაზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების, აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის მათი წერილობითი და ზეპირი ფორმით გადაცემის, ასევე მედიაციის წყაროების, სამეცნიერო დოქტრინების ანალიზისა და სინთეზის უნარები. სწავლების მიზანში ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი მიპყრობილია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაზე, სამედიაციო პრაქტიკის განვითარებაში პროფესიული როლის შეტანასა და მედიაციის პროცესის საკითხების შესწავლაზე. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი კეთდებოდეს არა მხოლოდ მედიატორის არამედ იურისტი წარმომადგენლის უფლებამოსილებათა და პროფესიული როლის სწავლებაზე მედიაციის პროცესში, რადგან სამართლის სკოლის კურსდამთავარებულისთვის მედიაციის მიმართულების უპირველესი როლი სავალდებულო მედიაციაში წარმომადგენლობაა (სამართლის პრაქტიკის თვალსაზრისით). სწავლების შედეგებთან კავშირში, სილაბუსი ითვალისწინებს სტუდენტის უნარებს შეიმუშაოს სამედიაციო გეგმა, მოლაპარაკების სტრატეგია და ტაქტიკა. აღნიშნული კი მოითხოვს სილაბუსის თემატიკაში მედიაციის პროცესის სწავლებისადმი უმთავრესი ყურადღებისა და დროის დათმობას. მედიაციის პრინციპების, მედიაციის ეთიკის, საკანონმდებლო გარანტიების გამოყენების სწავლება მნიშვნელოვანია სწორედ მედიაციის პროცესის სწავლების კონტექსტში პროცესის ცალკეულ ფაზაზე. კურსის მიზანთან შეუსაბამოდ, მედიაციის როგორც სტრუქტურირებული პროცესის სწავლებას დათმობილი აქვს მხოლოდ 1 ლექცია (მე-4 თემა), რაც ვერ უზრუნველყოფს სწავლების მიზანსა და შედეგებში გაცხადებულ უნარს შეეძლოს სტუდენტს მედიაციის გეგმის, მოლაპარაკების სტრატეგიებისა და ტაქტიკის შემუშავება. აღნიშნულისათვის აუცილებელია, რომ მედიაციის პროცესის

ცალკეული ფაზა (მომზადება, გახსნა, გამოკვლება, მოლაპარაკება, შეთანხმება) დამოუკიდებელი ლექციის ფარგლებში იყოს განხილული. მით უფრო, რომ პროცესის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს როგორც მედიატორის, ისე წარმომადგენლის პროფესიული როლისა და კომპეტენციების ურთიერთკავშირში გააზრებით. ამიტომ ერთი ლექციის დათმობა ვერ გადის მედიაციის შესახებ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სასწავლო შედეგზე, რომელიც აუცილებლად მოითხოვს სასწავლო თემატიკაში ორი უმნიშვნელოვანესი პროფესიული მოთამაშის მედიატორისა და წამომადგენლის პროცედურული ტექნიკების და ცალკეული სტადიისათვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური მიდგომების ინტეგრირებას. მან აღნიშნა, რომ მე-5 თემაში ნახსენებია წარმომადგენლის როლი გამოკვეთილად მხოლოოდენ მომზადების სტადიაზე და ზოგადად მედიაციის პროცესში. შესაბამისად, სწავლების მიღმა რჩება იურისტი წარმომადგენლის როლი წარმომადგენლობის გეგმის განხორციელების კუთხით მედიაციის სხვადასხვა სტადიაზე. უმნიშვნელოვანესია ადვოკატის როლი არა მხოლოდ მომზადების, არამედ გახსნის, გამოკვლევის, მოლაპარაკების, აღსრულებაუნარიანი შეთანხმების მიღწევისა და აღსრულების ეტაპზეც. უმნიშვნელოვანესია ადვოკატის როლიც კონფიდენციალურობისა და აღსრულების შესახებ საკანონმდებლო გარანტიების სახელშეკრულებო მექანიზმებით გაძლიერების კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ გამოკვეთილი იყოს ადვოკატის როლი მედიაციის შესახებ შეთანხმებისა და სამედიაციო მორიგების პროექტის შემუშავების მიმართულებით. მედიაციის საგნის სასწავლო მიზნად ასევე გაცხადებულია მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესების სწავლება. მედიატორთა პროფესიული გაერთიანება არის მედიაციის პროფესიის რეგულატორი, თუმცა მისი საქმიანობის წესების შესწავლა არ არის მედიაციის საგნის შესწავლის მიზნად გამოსაკვეთი. ამასთან, კურსის სილაბუსში არ არის თემატურად გამოკვეთილი, როგორ მიიღწევა აღნიშნული მიზანი. მედიაციის სწავლების მიზანი აუცილებლად მოითხოვს ისეთი თემატიკის შეტანას კურსის სილაბუსში, რომელიც ემსახურება კონფლიქტის ეფექტიანი მართვისა და გონივრული მოლაპარაკების მეთოდების სწავლებას. კერძოდ, კურსის სილაბუსი აუცილებლად უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ეფექტიანი კომუნიკაციის ტექნიკა: აქტიური მოსმენა (პერეფრაზი, შეჯამება, რეფორმულირება, ემოციებზე გამოხმაურება, სხეულის ენა, კითხვები). პოზიციებისა და ინტერესების გამიჯვნა. ინტერესების გამოკვლევის მნიშვნელობა. სხვადასხვა სახის ინტერესები (ეკონომიკური/მატერიალური, პირადი/ემოციური/არა-მატერიალური, პროცესუალური). მოლაპარაკების ტიპები. მოლაპარაკებისას მხარეთა ალტერნატივების განხილვის მნიშვნელობა (ე.წ. BATNA - სამედიაციო მორიგების საუკეთესო ალტერნატივა, WATNA - სამედიაციო მორიგების აუარესო ალტერნატივა). შესაძლო „მორიგების ზონის“ (ე.წ. ZOPA - შესაძლო მორიგების არეალი) იდენტიფიცირება და ეფექტიანი მართვა. რეალობის ტესტი. აღნიშნული საკითხების სწავლება უმნიშვნელოვანესია მით უფრო რომ საგნის ხელმძღვანელი სწავლების მიზნად აცხადებს სამედიაციო გეგმების შედგენის, მოლაპარაკების სტრატეგიებისა და ტაქტიკის გამოყენების შესაძლებლობას. მედიაციის გეგმის შედგენისას უმთავრესია დავის შინაარსთან მუშაობის უნარის კუთხით სწორედ ინტერესებისა და სამედიაციო მორიგების საუკეთესო-საუარესო ალტერნატივების განსაზღვრა. სწორედ ამ გზით მიიღწევა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება საქმის სამართლებრივი ანალიზის გავლით. მან აღნიშნა, რომ მე-11 თემაში ერთ-ერთ საკითხად კურსის ხელმძღვანელს მითითებული აქვს ,,თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის პროგრამის პრაქტიკული ასპექტების ეფექტიანობის შეფასება“. აღნიშნული აუცილებლად მოითხოვს გამოსაყენებელ ლიტერატურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სასამართლო მედიაციის პროგრამის მითითებას. სწავლების მიზნებთან შესაბამისობის კუთხით შეუსაბამოდ დიდი ყურადღება ადგილი ეთმობა მედიაციის წარმოების ფორმების ანალიზს უცხო ქვეყანათა მართლწესრიგში (იხ. თემა 9. მედიაციის წარმოების ფორმები საერთაშორისოსამართლებრივ სივრცეებში (ნაწილი 1), თემა 10. მედიაციის წარმოების ფორმები საერთაშორისოსამართლებრივ სივრცეებში (ნაწილი 2) ევროპული კანონმდებლობა). მეტად ღირებული იქნებოდა სასამართლო და კერძო მედიაციის

საკანონმდებლო გარანტიების უფრო ვრცელი შეფარდებითი ანალიზი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც სტუდენტს მისცემდა ცოდნას სასამართლო და კერძო მედიაციის პროცედურულ და არსობრივ თავისებურებებისა და საკანონმდებლო დაცვის გარანტიების თვალსაზრისით რომელიმე ფორმის უპირატესი გამოყენების შესახებ. სასამართლო და კერძო მედიაციის საკითხები ქართულ მართლწესრიგში მოცემულია უფრო ვიწრო ფარგლებით (ვიდრე საერთაშორისო რეგულატორული პლატფორმა) და ინტეგრირებულია მე-12 თემაში მედიაციის სხვა მოდელების ანალიზთან (თემა 12. მედიაციის რეგულირება საქართველოში (ნაწილი 2) მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის მიღების ფაქტი; სასამართლო მედიაცია; კერძო მედიაცია; სანოტარო მედიაცია; მედიაციის ელემენტი აღსრულების ეროვნულ ბიუროში; სამედიცინო მედიაცია; მედიაციის ელემენტი შემოსავლების სამსახურში.) მან დასძინა, რომ მე-13 თემაში (თემა 13. მედიაციის წარმოების სპეციფიკა დავის საგნის მიხედვით, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ხელშემწყობი გარემოებები, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზები. მედიაცია შრომით ურთიერთობებში; შრომის მედიაციის ისტორია; მედიაცია სამსახურებრივი შევიწროვებისა და ჩაგვრის საქმეებზე. საოჯახო დავების მედიაცია; მედიაცია განქორწინების საქმეებზე) ავტორი მიმოიხილავს მედიაციის თავისებურებებს ცალკეული კატეგორიის დავებში, თუმცა ის არ მოიცავს მედიაციის არსობრივ-პროცედურულ თავისებურებებს სავალდებულო მედიაციას დაქვემდებარებული სხვა კატეგორიის დავების მაგალითზე (საზიარო უფლებათა გაუქმების შესახებ დავები. საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები, ბიზნეს დავები და ა.შ.). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მედიაციის სწავლება აუცილებლად მოითხოვს როლური სიმულაციების მეთოდის ინტეგრირებას, რომელიც ერთ-ერთი შეუცვლელი მეთოდია პროცესის არსობრივი და პროცედურული გააზრებისათვის. აღნიშნულ მეთოდზე მითითებას სილაბუსში ვერ ვხვდებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკორპორაციო სამართალში დამატებით ლიტერატურაში იყო მითითებული ის ლიტერატურა, რაც ძირითად ლიტერატურაშია შედარებით საკორპორაციო სამართალში და ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს რჩევა ჰქონდა მიღებული, რადგანაც არ იკვეთებოდა დამატებითი ლიტერატურა, თუ რამდენად იყო სავალდებულო. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით შინაარსობრივ მხარეში, ყველა უნივერსიტეტს სამწუხაროდ ვერ ექნებოდა საკითხები ისე გადმოცემული, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. დარგობრივი მახასიათებლით რაც იყო მინიმალური სტანდარტი, სილაბუსით მინიმალურ სტანდარტზე გასვლა ხდებოდა.

ირაკლი ბურდული დაეთანხმა საკითხს, რომ შეიძლება ასოცირებული კი არა ასისტენტ-პროფესორიც კი სჯობდეს ზოგიერთ სრულ პროფესორს, პრობლემა ეს არ არის. პრობლემა არის ის, რომ ხშირად იმაზე მეტს იღებს პირი საკუთარ თავზე, ვიდრე ფიზიკურადაა შესაძლებელი. ირაკლი ბურდულმა დაასახელა პროფესორი, რომელიც პარალელურად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც მუშაობს - ზურა ჭეჭელაშვილი. მხოლოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ზურა ჭეჭელაშვილი კითხულობს საგნებს: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, სახელშეკრულებო სამართალი, სამოქალაქო სამართლის შესავალი, ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა - ბაკალავრიატზე ჯამში ხუთი საგანი. მაგისტრატურის საფეხურზე: კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და სასამართლო პრაქტიკა, საბანკო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, შედარებითი სანივთო სამართალი, შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი. მხოლოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხსენებული პროფესორი კითხულობს ცხრა საგანს. გარდა ამისა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კითხულობს საბანკო სამართალს, სადაზღვეო სამართალს, საფინანსო სამართალს, ფასიანი ქაღალდების სამართალს. შესაბამისად, 13 საგანს კითხულობს ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა უივერსიტეტში. პრობლემას წარმოადგენს ასეთი ლაფსუსების არსებობისა, როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით, ის რომ ზურა ჭეჭელაშვილის საბანკო

სამართლის და სასამართლო პრაქტიკის კურსი იდენტურია იბსუს საბანკო სამართლისა. ბუნებრივია ადგილი აქვს დუბლირებას. 13 საგანს ერთიდაიგივე ადამიანი მომიჯნავე სფეროებში ვერ წაიკითხავს. საერთაშორისო აკრედიტაციის გავლისას ერთ-ერთი ფორმალური მოთხოვნა იყო პროფესორის დატვირთვის ბადე, ასეთი მოცემულობით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს 13 საგნის წაკითხვის პირობებში, მინიმუმ 26 საათი გამოსდის კვირაში. ამ ყველაფერს სჭირდება მომზადება, დაწერა, ამასთანავე იგი არის ადვოკატიც. აქედან არის განპირობებული საგნებს შორის დუბლირება. ასე, რომ მხოლოდ კერძო სამართლის მიმართულებით უნივერსიტეტს ცხრა საგანი აქვს, ცხრა საგნიდან ხუთი საგანი არის შინაარსობრივი გადაფარვებით, საკითხების დუბლირებით და დუბლირებული ლიტერატურით სავსე. ერთი საგანი, საკორპორაციო სამართალი, დარგობრივ სტანდარტებს შეესაბამება თუ არა, არასტრუქტურირებულია და არალოგიკური თვალსაზრისითაა აგებული. მეექვსე საგანი ეს არის მედიაცია, რომელსაც საერთოდ ვერ გაჰყავს შედეგზე სტუდენტი. როდესაც ცხრა საგნიდან ექვს საგანს პრობლემა აქვს, შედეგზე სტუდენტის გაყვანა საკითხავია. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წამომადგენლებს სთხოვა ამ ყველა საკითხისთვის დიდი ყურადღების მიქცევა, როგორც პროფესორების აყვანის თვალსაზრისით, ასევე იმ კუთხთ, თუ როგორ ხდება სილაბუსების აგება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მძიმე მოსასმენი იყო ეს ყოველივე. სამწუხაროდ, იგი სამართლის სპეციალისტი არ არის, ამიტომ ვიდრე ყველა მითითებულ სილაბუსს არ გადახედავს, შინაარსის მხრივ ამომწურავ პასუხს ვერ გასცემს საბჭოს წევრებს. პროფესორებს აქვთ სრული აკადემიური თავისუფლება და დაწესებულების წარმომადგენლებს სჯერა იმ ადამიანების, რომლებიც თავად ქმნიან სილაბუსებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი დარგის სპეციალისტი არაა, პასუხისმგებლობას არ იხსნის. დაწესებულება ეცადა ყოფილიყო თანამედროვე ლიტერატურა მოძიებული და შემენილი. რამდენიმე სილაბუსში თემატიკის გადაფარვა დაწესებულების წარმომადგენელმა ვერ დაინახა შესწავლის გარეშე. იყო შემთხვევები ლიტერტურის იდენტურობისა, მაგრამ ლიტერატურის ნაწილი გამოყენებულია საბაკალავრო სილაბუსში და ნაწილი მაგისტრატურაში. დარგიბრივი დოკუმენტის მაქსიმალურად გათვალისწინებით იქნა ყველა სილაბუსი შემუშავებული. ვიზიტის დაგეგმვის შემდეგ პირველ დეკემბერს ჩაბარებულ განახლებულ დოკუმენტაციაში, შედარებითი საკორპორაციო სამართალი სამაგისტრო პროგრამაში საერთოდ აღარ ისწავლება. ჩანაცვლდა საგანი კერძოსამართლებრივ დავებზე სასამართლო გადაწყვეტილეათა მიღების მეთოდიკით, რასაც დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეც. რეკომენდაციების გათვალისწინებით, მთლიანად მოხდა საგნის პროგრამიდან ამოღება და მის მაგივრად ახალი საგნის დამატება. ყველაფერი გაკეთდა დარგობრივი მახასიათებლების გასათვალისწინებლად, შედეგების გასაწერად. შესაძლოა ლიტერატურა მეორედებოდეს, მაგრამ ბაკალავრიატში ისწავლება სხვა კონტექსტით, მაგისტრატურის საფეხურზე ცოდნა უნდა გაღრმავდეს. დაწესეულების წარომადგენლის თქმით, იგი ცდილობს პრფესორებს ჰქონდეთ სრული აკადემიური თავისუფლება და თავად აგონ პასუხი. მას რომ სცოდნოდა ამდენი პრობლემის არსებობის თაობაზე, ყველა პროფესორს სთხოვდა საბჭოზე დასწრებას. მიღებული რეკომენდაციები დაწესებულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, დაწესებულების წარმომადგენელს პროფესორებმა გაუმარტეს, რომ ლიტერატურის ნაწილი იკითხებოდა ბაკალავრიატზე, ნაწილი მაგისტრატურის საფეხურზე. საბჭოზე საკითხების განხილვა, გამოთქმული რეკომენდაციები, ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულების წარმომადგენლისათვის. თუ კი საშუალება მიეცემა დაწესებულებას აკრედიტაციის მიღებისა, ლიტერატურის გადაფარვა გამოსწორდება, დაწესებულების წარმომადგენელი შეხვდება ყველა პროფესორს და მათთან გაივლის მითითებულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში პროგრამასთან და სილაბუსებთან მიმართებაში არანაირი რეკომენდაცია არ ყოფილა ჩაწერილი, იყო მხოლოდ რამდენიმე რჩევა სანივთო სამართალთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საბჭოს წევრების აზრის მოსმენა. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რო კერძო სამართალში გამოცხადდებოდა კონკურსი. საკმაოდ რთული აღმოჩნდა სილაბუსების შედგენის

პროცესი. პროფესორის მოძიება აკადემიურ თანამდებობზე კერძო სამართლის მიმართულებით, ცოტა გაუჭირდა დაწესებულებას. არაჩვეულებრივი პროფესურა ჰყავდა უნივერსიტეტს, დაწესებულების წარმომადგენელი მიხვდა, რომ ზურა ჭეჭელაშვილს გაუჭირდა სილაბუსებთან მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ხდება პროფესორების გამოკითხვა და თუ აფილირების ხელშეკრულება ფორმდება 12 თვიანი ხელფასით, ის მაინც მიდის სხვა უნივერსიტეტში და დამატებით საგნებს კითხულობს, აუცილებლად გახდება ეს საკითხი განსჯის საგანი და ხელშეკრულება გადაიხედება. უინვერსიტეტს არ აქვს ფინანსური პრობლემა იმისა, რომ ვერ მოხდეს დამატებით პროფესორების მოძიება. ბევრმა პროფესორმა სახელმწიფო უნივერსიტეტებში არჩია ყოფნა, თუნდაც შედარებით დაბალ ხელფასზე, იმიტომ რომ მეტი გარანტია ჩანდა ავტორიზაციის გავლისა. დაწესებულების წარმომადგენელმა მიღებული რცევებისთვის კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება. შესაძლოა, ამ საგანზეც ძველი სილაბუსის მიხედვით მოხდა საბჭოს წევრისგან რჩევების გაცემა. აქვს, საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ მან ახალი სილაბუსის მიხედვით იხელმძღვანელა.

დიმიტრი გეგენავამ მიუთითა, რომ მან განახლებული სილაბუსებით იხელმძღვანელა. მან შეადარა ძველი და ახალი სილაბუსები, შესაბამისად რამდენიმე რეკომენდაცია ამოიღო, იმიტომ რომ საგნების მიხედვით ლიტერატურა განახლებული იყო. მაგალითად, ადამიანის უფლებებში 2017 წლის წიგნი იყო მითითებული, ხოლო განახლებულ სილაბუსში 2019 წლის წიგნი მიეთითა. დიმიტრი გეგენავას რეკომენდაციები შეეხებოდა ბაკალავრიატის შესატყვის მაგისტრატურის საგნებს. შედარებითი სისიხლის სამართალი არ ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე, შესაბამისად ვერ მოხდებოდა გადაფარვაც. მისი აზრით, უნივერსიტეტს ჯანსაღი დამოკიდებულება აქვს რჩევებისა და რეკომენდაციებისადმი, ამიტომაც შეეცადა ნათლად და დატელურად ჩამოეყალიბებინა აღნიშნულილ რეკომენდაციები. დიმიტრი გეგენავას სჯერა, რომ რეკომენდაციები პოვებს ასახვას სილებუსებსა და პროგრამაში. მთავარია აკრედიტაციის პროცესი არ იქცეს პიროვნული შეფასების და რეკომენდაციების მოფიქრების პროცესად, პირიქით მთავარი მიზანია პროგრამების გაუმჯობესება, საუკეთესოს დანახვა და სადაც გამოსწორებაა საჭირო, გამოსწორების გზების ჩვენება. დიმიტრი გეგენავას აზრით, უნნივერსიტეტს აქვს მიზანი და განწყობა იმისა, რომ მოხდება რეკომენდაციების გათვალისწინება. ასევე გასაგებია, რომ პანდემიის დროს ძალიან რთულია ამ პერიოდში კომუნიკაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმთან დაკავშირებით დაამატა. აღნიშნული საგნის სილაბუსი ქეთი ხუციშვილის გადახედილია, მან ლიტერატურაც დაამატა და მოხდა ამ ლიტერატურის შეძენაც. დაწესებულება ღიაა ყველა რეკომენდაციის მისაღებად, მოხდება ყველაფრის გათვალისწინება, დაწესებულების წარმომადგენელი არ არის მოწყვეტილი პროგრამებისა და პროფესორებისგან, იგი ჩართულია სილაბუსების შემუშავების პროცესში. სწავლის დაწყეამდე ერთი თვეა და მოხდება ყველაფრის შესწორება. საფუძვლიანი განხილვისთვის დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს. დაწესებულებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აკადემიური, თუ მოწვეული პერსონალის აზრი გაეთვალისწინებინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამების ჩამოყალიბებისას დიდი შრომა გაიწია პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამაში ჩართული პერსონალის მხრიდან. შეძლებისდაგვარად, პანდემიის პირობებში ონლაინ ჩართვებით. ამ პროგრამაზე ბევრი კარგიც შეიძლება ითქვას, აქ ჩართულია ძალიან ბევრი კარგი პროფესორი,მაგალითად, მინდია უგრეხელიძე, მზია თოდუა, როინ მიგრიაული, დიანა ბერეკაშვილი, ინგა კვაჭანტირაძე და ასე შემდეგ. საბაკალავრო პროგრამაში ჩაირთო საინტერესო პრაქტიკული კურსები, საინტერესო სილაბუსი ჩამოყალიბდა იურიდიული ეთიკის საფუძვლებში საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. მიუხედავად ბევრი შრომისა, არის გარკვეული საკითები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მისთვის ძალიან ფასეულია

საბჭოს წევრების რჩევები, მათი რეკომენდაციები. საჯარო სამართლის მიმართულებაში დაწესებულებას ჰყავს აფილირებული-ასოცირებული პროფესორი ბექა ქანთარია, მან გადაამუშავა აღნიშნული სილაბუსები, გამოიყენა უცხოელი პროფესორის ახლადგამოცემული სახელმძღვანელო, ასევე სხვა ქართველი ავტორების მიერ გამოცემული ლიტერატურა. რაც შეეხება, შესავალი საკონსტიტუციო სამართალს და საკონსტიტუციო სამართალს, აქ არის 2016-2017-2018 წლებში გამოცემული წიგნები მითითებული. თუმცა, კონსტიტუციის განახლებული ვარიანტი შემდგომ მომზადდა და, რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ისევე, როგორც ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკაში, მიეცემათ შესაბამისი მითითებები საგნების პროფესორებს, რომ დაუყოვნებლივ შეიტანონ შესაბამისი ლიტერტურა სილაბუსებში. რაც შეეხება საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას, დარგობრივი სტანდარტის მიხედვით აღნიშნული გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი. ამ საგნის სილაბუსში მითითებულია დიმიტრი გეგენავას რამდენიმე ნაშრომი, ასევე სხვა ავტორების ნაშრომები, თუმცა ლიტერატურა კიდევ უფრო დაიხვეწება და დაემატება. დაწესებულების წარმომადგენელი საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებებს სრულად დაეთანხმა. დაწესებულების წარმომადგენლისათვის წარმოუდგენელია საკორპორაციო სამართლის მიმართულებით სხვადასხვა საკითხში საბჭოს თავმჯდომარეს არ დაეთანხმებოდა. სილაბუსი რამდენჯერმა გადამუშავდა, ავტორმა დაამატა რამდენიმე წყარო, ექსპერტების მხრიდანაც მიიღო დაწესებულებამ საინტერესო რჩევები. მინიმალურ დონეზე სილაბუსი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, დაწესებულებს წარმომადგენელს სურვილი აქვს, რომ საგანი უკეთესი გახდეს. რაც შეეხება კერძო სამართლის მიმართულებასა და ზურა ჭეჭელაშვილის საქმიანობას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არცერთი ადამიანი არ მოიწონებს იმ ფაქტს, რომ ერთი ადამიანი კითხულობდეს 12 ან 13 საგანს. ვალდებულებითი სამართალი, სახელშეკრულებო და კანონისმიერი სამართალი უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან და კავშირში არიან. ჭეჭელაშილთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულებას დაემატა მზია თოდუა, რომელიც სანივთო სამართალს და სხვა სასწავლო კურსებს უძღვება, იგი არის ასევე კლინიკის ხელმძღვანელი. დაწესებულება, რა თქმა უნდა, რეკომენდაციებს გაითვალისწინებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:03
დასრულების დრო: 18:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:
მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“;
მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1. სამართალმცოდნეობის შესავალსა და შესავალი საკონსტიტუციო სამართალში აღმოიფხვრას შინაარსობრივი ურთიერგადაფარვები (განსაკუთრებით სახელწიფოს მოწყობის, სახელმწიფო მმართველობის და მსგ.)
2. შესავალი საკონსტიტუციო სამართლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის თემატიკა დუბლირებულია, აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სამართლიდან ამოღებულ იქნეს ის ზოგადი თემატიკა, რომელიც მეორდება (მაგ., 1-ლი, მე-3, მე-6, მე-8, მე-11 თემები).
3. განახლდეს და რელევანტური, თანამედროვე ლიტერატურა მიეთითოს შემდეგ დისციპლინებში: შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება, ადამიანის ძირითადი უფლებები; ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი; ევროპული კავშირის სამართალი; დიპლომატიური და საკონსულო სამართალი.
4. გადაიხედოს სამართალმცოდნეობის შესავლის თემატიკა, აისახოს ისეთი საკითხები, რომლებიც შინაარსობრივად, კურიკულუმის მიხედვით, სხვა საგნებით ვერ დაიფარება (მაგ., მორალი, სამართლიანობა და ა.შ.)
5. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში არ მოიცავს ისეთ ფუძემდებლურ საკითხებს, როგორიცაა საკონსტიტუციო თეორიის საფუძვლები, თავდაცვა და უსაფრთხოება, საფინანსო-ეკონომიკური და საბიუჯეტო თემატიკის საკონსტიტუციო საფუძვლები და ა.შ. სილაბუსის მე-10-მე-15 თემებზე მითითებული ლიტერატურა არ ფარავს მასალას.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი ისწავლება არა მხოლოდ არარელევანტური ლიტერატურით, არამედ სასწავლო მასალა ასახავს უკვე მცდარ, კონსტიტუციის ძველი რედაქციის შესაბამის შინაარსს. აუცილებელია სილაბუსი ორიენტირებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციასა და მის შინაარსზე. აუცილებელია თემატიკას დაემატოს საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემათა საკონსტიტუციო საფუძვლები.
7. საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება მოიცავს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხოლოდ ნაწილს და არ ფარავს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ საკითხებს. აუცილებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების თემატიკის ზრდა სილაბუსში. ასევე, აუცილებელია გაუქმებული ნორმატიული აქტის ნაცვლად შესაბამისი კანონმდებლობის მითითება.
8. ადამიანის ძირითადი უფლებებში აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაზე ყურადღების გამახვილება, შინაარსობრივად უნდა ისწავლებოდეს მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტების შესახებ ინფორმაცია.
9. ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა - ამოღებულ უნდა იქნეს გაუქმებული ნორმატიული აქტები და ჩანაცვლდეს მოქმედით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის და 2 წელში თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:
მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1. გადასახედია სამართლებრივი კომუნიკაციის სილაბუსის შინაარსი და სტრუქტურა. აუცილებელია მისი შინაარსობრივი მხარის სამართლებრივი ინგლისურის თემატიკისგან გამიჯვნა. აუცილებელია უშუალოდ კომუნიკაციის მიმართულებით თემატიკის გავრცობა.
2. ადამიანის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები - აუცილებელია თემატიკის გადახედვა, შინაარსი მაქსიმალურად უნდა იქნეს დისტანცირებული საბაკალავრო პროგრამის ადამიანის ძირითადი უფლებების შინაარსისგან, ყურადღება უნდა გამახვილდეს უშუალოდ დაცვის მექანიზმებზე, გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და მაქსიმალურად ორიენტირდეს უფლებათა დაცვის მექანიზმების პრაქტიკულ გამოყენებაზე.
3. თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი - აუცილებელია გამოიკვეთოს საგნის კონცეპტუალური მიმართულება და აქცენტი გაკეთდეს პრობლემურ საკითხებზე ან შედარებითსამართლებრი თემატიკაზე, აუცილებელია განახლდეს ლიტერატურა და აღმოიფხვრას თემატური დუბლირება ბაკალავრიატთან.
4. საგნები: ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, საყოველთაო სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - შინაარსობრივად, თემატურად და ლიტერატურის დონის მხრივ საბაკალავრო საგნების დუბლირებაა და არ შეესაბამება მაგისტრატურის დონეს.
5. თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა - საგანში საერთოდ არაა წარმოჩენილი სასამართლო პრაქტიკის მიმართულება, სილაბუსით არ დასტურდება სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირება სასწავლო პროცესში; სასწავლო ლიტერატურა ბაკალავრიატის ლიტერატურის დუბლირებაა, შინაარსობრივად არ განსხვავდება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისგან.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-32 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების

272 მუხლის პირველი პუნქტის, 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭო დასრულდა 18:16 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა